

მოსამართლის დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალი და განმარტებები

ობიექტური, სამართლიანი, ჯანსაღი, ეფექტური და განჭვრეტადი დისციპლინური სამართალწარმოება სასამართლოს დამოუკიდებლობის და მისი ანგარიშვალდებულების უზუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მიზნით, აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს დისციპლინური გადაცდომების მკაფიო ჩამონათვალი. როგორც სადისციპლინო კოლეგიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა (იხ. სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდი - „კვლევები“), მოსამართლეებს და ადვოკატებს აქვთ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებანი, თუ მოსამართლის რომელი ქცევა უნდა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად. დისციპლინური გადაცდომების მკაფიო დეფინიციის აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციის დასკვნა. მოქმედი დისციპლინური კანონმდებლობა ბევრ ბუნდოვანებას და ხარვეზს შეიცავს. მასში მოცემული ზოგადი ფორმულირებები იძლევიან ძალიან ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. დისციპლინური გადაცდომების მკაფიო ჩამონათვალის არსებობა ასევე აუცილებელია მოსამართლის ქმედების სწორი კვალიფიკაციის და დისციპლინურ პროცესში მტკიცების საგნის განსაზღვრისთვის.

აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის 30 ქვეყნის და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების, სამოსამართლო ეთიკის წესების და სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების გათვალისწინებით, სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრების - კახა წიქარიშვილის და ქეთევან ბექაურის მიერ შემუშავებული იქნა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების დეტალური ჩამონათვალი (საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ახალი რედაქცია) და განმარტებები.

ვფიქრობთ რომ დისციპლინური გადაცდომების დეტალიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ღირებულებათა სისტემა (დისციპლინური გადაცდომის ობიექტი), რომელიც უნდა იქნას დასული დისციპლინური წესით. ჩვენი აზრით, ეს ღირებულებებია: სასამართლოს პრესტიჟი და ავტორიტეტი, საზოგადოებრივი ნდობა სასამართლოს მიმართ; მოსამართლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; მოსამართლის ღირსება; პროცესის მონაწილეთა ან სხვათა პატივი და ღირსება; თათბირის (პროფესიული) საიდუმლოება; სასამართლოს გამართული ფუნქციონირება; წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში; დისციპლინური მართლმსაჯულება; და სხვ. მოსამართლის ამა თუ იმ ქმედების გადაცდომად აღიარებას საფუძვლად უნდა დაედოს ის პოტენციური ზიანი, რაც ამ ქმედებამ შეიძლება მოუტანოს აღნიშნულ ღირებულებათა სისტემას.

ვფიქრობთ დისციპლინური გადაცდომების საბოლოო ფორმულირებანი შემოშავებული უნდა იქნას მართლმსაჯულების სისტემის სუბიექტების - პირველ რიგში მოსამართლეების მჭიდრო მონაწილეობით და ჩართულობით. მოხარული ვიქნებით თუ მოვისმენთ პრაქტიკოსი იურისტების - განსაკუთრებით მოსამართლეებისა და ადვოკატების შენიშვნებს და მოსაზრებებს და მივიღებთ მონაწილეობას მათ განხილვაში. შესაბამისად, გთხოვთ გაეცნოთ დართულ დოკუმენტებს და თქვენი შენიშვნები 2015 წლის 15 ნოემბრამდე მიაწოდოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

კახა წიქარიშვილი

ქეთევან ბექაური

პროექტი ¹

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში შემოთავაზებული გადაცდომების

განმარტებები

¹ შემუშავებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრების კახა წიქარიშვილის და ქეთევან ბექაურის მიერ.

ა) მოსამართლის მიერ მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა, მათ შორის:

ა.ა) მოსამართლის მიერ საქმის არ აცილება იმის შეცნობით, რომ სახეზეა საქმის აცილების ცალსახა საფუძველი;¹

ა.ბ) საქმის განხილვისას აშკარა მიკერძოების გამოვლენა;²

ა.გ) განსახილველი საქმის შედეგების წინასწარ გამჟღავნება, ან საქმეზე წინასწარ შექმნილი აზრის გამოვლენა, იმ ფორმით, რაც ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. აღნიშნულში არ მოიაზრება მხარეთა მორიგებისკენ მიმართული ღონისძიებები, რომლებსაც მოსამართლე იყენებს კანონის შესაბამისად;³

ა. დ) პროცესის მონაწილეთა მიზანმიმართული დისკრიმინაცია ამა თუ იმ ნიშნით;⁴

ა.ე) საქმეთა განაწილების წესების დარღვევა ან საქმეთა განაწილებაში უკანონოდ ჩარევა საქმეზე არაჯეროვანი ზეგავლენის მოხდენის მიზნით;⁵

ა.ვ) არაჯეროვანი ურთიერთობების დამყარება სამართალწარმოებაში მონაწილე პირებთან, რაც ხელყოფს მოსამართლის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, ან ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას;⁶

ა.ზ) მოსამართლის მიერ ისეთი გაერთიანების წევრობა, რომელიც ერთგულების ფიცის დადებას მოითხოვს, ან ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას;⁷

ა.თ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც საქმის განხილვის დროს ხელყოფს მოსამართლის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას, ან ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას;⁸

განმარტება: მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სასამართლოს საქმიანობის უმთავრეს პრინციპს და დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ის, ასევე, მოსამართლის უპირველესი ეთიკური ვალდებულებაა (იხ. სამოსამართლო ეთიკის წესები მუხ. 1,3), რომლის დარღვევაც უნდა იწვევდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას; მოსამართლე უნდა მოერიდოს ისეთ ქმედებას, რომელიც არა მხოლოდ რეალურად უშლის ხელს მის დამოუკიდებლობას, არამედ ამცირებს საზოგადოების რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის მიმართ და ქმნის მიკერძოების შთაბეჭდილებას (იხ. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხ. 3).

მიუკერძოებლობის ვალდებულება მოქმედებს არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების, არამედ, პროცესის წარმართვის დროსაც.⁹

აღნიშნული მუხლით დაკონკრეტებულია მოსამართლის მიერ მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევის კერძო შემთხვევები; ასევე მოქმედებს ზოგადი ჩანაწერი: „ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც საქმის განხილვის დროს ხელყოფს მოსამართლის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას, ან ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას“

მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელმყოფი შეიძლება იყოს სხვა ქმედებებიც, როგორცაა მაგ. მოსამართლესთან ცალმხრივი კომუნიკაცია, სამსახურებრივ სტატუსთან და მოვალეობასთან შეუთავსებელი გარიგება, გაერთიანების წევრობა, რომელიც ერთგულების ფიქსის დადებას მოითხოვს, თუმცა მათი კვალიფიკაცია მოხდება სპეციალური ნორმის შესაბამისად.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ანალოგიური გადაცდომების შესახებ იხ. ქვემოთ შენიშვნები¹⁰.

ბ) მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რაც გულისხმობს მოსამართლის მიერ მხარეთა კონსტიტუციური, ასევე, ფუნდამენტური საპროცესო უფლებების, ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების, ან სამოსამართლო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი ნორმების დარღვევას,¹¹ რამაც ზიანი მიაყენა პროცესის მონაწილე მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს. ქმედების არაჯეროვან შესრულებად დაკვალიფიცირებისას მხედველობაში მიიღება გამონწვეული ზიანის ხარისხი, დარღვევის სისტემატურობა, მოსამართლის შეცდომის გამოსწორებადი ხასიათი, მოსამართლის მოტივები.

განმარტება: მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ სხვა ნებისმიერი საჯარო მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს წარმოადგენს (იხ. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი).

მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერი, ასევე, გვხვდება სხვა სასამართლო სისტემებშიც (მაგ. იტალია, მონტენეგრო, რუმინეთი, ხორვატია, ბოსნია და სხვ.).

მოსამართლის უფლებამოსილების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება მოსამართლის ეთიკური ვალდებულებაა.¹²

მიუხედავად ამისა, სასამართლო სისტემაში ამ ნორმის ფართო ინტერპრეტაციამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მოსამართლის დამოუკიდებლობას,¹³ რის გამოც აუცილებელია რაც შეიძლება მკაფიოდ დადგინდეს მისი მოქმედების ფარგლები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმის დაუცველობა არ უნდა იწვევდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში მოიაზრება მხოლოდ სასამართლოს საქმიანობის და მართლმსაჯულების მარეგულირებელი ფუნდამენტური, საბაზისო წესების დარღვევა.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ფუნდამენტური წესია ის, რომ მაგ. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე,¹⁴ მხარეთა თანასწორობის და

შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე,¹⁵ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ; საქმე განიხილება ღია სხდომაზე (გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა¹⁶); სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ;¹⁷ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული; მისი სამოტივაციო ნაწილი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სარეზოლუციო ნაწილს; სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს კანონით დადგენილ რეკვიზიტებს; არ უნდა არსებობდეს წინააღმდეგობა გამოცხადებულ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს შორის; საპროცესო შეთანხმების დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ადვოკატის მონაწილეობით; სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს გასაჩივრების წესზე, რომელიც უნდა იყოს კანონის შესაბამისი; და სხვ.

სასამართლოს საქმიანობის ფუნდამენტური წესია ის, რომ მოსამართლე უნდა გამოცხადდეს დანიშნულ სხდომაზე; დაემორჩილოს დამნიშნავი ორგანოს საკადრო გადაწყვეტილებებს, უნდა განიხილოს ის საქმე, რომელიც მას დაენერა (თუ არ არსებობს აცილების საფუძველი); და სხვ.

მოსამართლის მიერ ამ და სხვა ბაზისური წესების შეგნებული და სისტემატური დარღვევა (თუნდაც ეს გამოსწორებადი იყოს სააპელაციო გასაჩივრების წესით) ზიანს აყენებს არა მხოლოდ მართლმსაჯულების პროცესს და მხარეთა ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ, ასევე, სასამართლოს რეპუტაციას და ავტორიტეტს.

სამოსამართლო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ფარგლების დადგენისას მნიშვნელოვანია მოსამართლის დისციპლინური გადაცდომა გამიჯნოს სამართლებრივი შეცდომისგან. სამართლებრივი შეცდომა მოსამართლის დასაშვები ქცევაა, რომელიც სწორდება ორდინარული სამართლებრივი მექანიზმებით (მათ შორის სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების გზით). სამართლებრივი შეცდომა მხოლოდ მაშინ იქცევა დისციპლინურ გადაცდომად, როდესაც ის თავისი ხასიათით სახელს უტეხს მართლმსაჯულებას, აზიანებს მხარეთა ფუნდამენტურ უფლებებს, გამოხატავს მოსამართლის არაკეთილსინდისიერებას,¹⁸ ან მის აშკარა არაკომპეტენტურობას, ან არის სისტემატური ხასიათის. შესაბამისად, მხარეთა უფლებების დარღვევა, მოსამართლის არაკეთილსინდისიერება, სისტემატურობა, გამოუსწორებადობა არის ის ნიშნები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამოსამართლო შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომისერთმანეთისაგან გამიჯვნისას.¹⁹

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ სამოსამართლო მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება უნდა განიმარტოს, როგორც მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების ან სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი ფუნდამენტური ნორმების, მათ შორის პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებების ან სამართლიანი პროცესის გარანტიების დარღვევა.²⁰

შემოთავაზებული პროექტის მიხედვით, ქმედების არაჯეროვან შესრულებად დაკვალიფიცირებისას მხედველობაში მიიღება მხარეთა უფლებების დარღვევის, ან სასამართლოსათვის ან მართლმსაჯულების პრესტიჟისადმი მიყენებული ზიანის ხარისხი,

დარღვევის სისტემატურობა, მოსამართლის შეცდომის გამოსწორებადობა, მოსამართლის მოტივები.

ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ეს ნიშანი ერთდროულად უნდა იყოს სახეზე. შესაძლებელია კონკრეტული ტიპის გადაცდომის განხილვისას საკმარის მაკვალიფიცირებელ ნიშნად ჩაითვალოს დარღვევის სისტემატურობა ან მოსამართლის არაკეთილსინდისიერი მოტივი.

მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვ შესრულებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მიერ კანონის მოთხოვნის დარღვევა ცალსახაა და სასამართლო პრაქტიკაში ან თეორიაში დავას არ იწვევს. ნორმის ბუნდოვანების შემთხვევაში საკითხი მოსამართლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.²¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო გარემოებების არსებობისას მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

- საქმის განხილვა დამცველის გარეშე, როდესაც მისი მონაწილეობა კანონით სავალდებულოა,²² დაცვის უფლების სხვაგვარი დარღვევა;²³
- გადაწყვეტილების მიღება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, როდესაც კანონით ეს სავალდებულოა;²⁴
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მონაწილეობის გარეშე;
- სასამართლოს განსჯადი საქმის განხილვაზე უარის თქმა;
- მხარისთვის ფუნდამენტური საპროცესო უფლებების განუმარტაობა (მაგ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების - სსსკ. 219-ე მუხლი, საპროცესო შეთანხმების დადების წინ ბრალდებულისთვის უფლებების განუმარტაობა);
- არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის დადგენა სავალდებულო პირობების დადგენის გარეშე (ნებაყოფლობითობა, ბრალდებულზე არაჯეროვანი ზემოქმედების არ არსებობა, საპროცესო შეთანხმების შედეგების გაცნობიერება, - სსსკ. 212-ე მუხლი²⁵);
- სამართალწარმოების ენის არ მცოდნე პირისთვის თარჯიმნის არ დანიშვნა (მოთხოვნის მიუხედავად);
- მართლმსაჯულების განხორციელება არაქართულ ენაზე;
- სასამართლო სხდომის დახურვა საფუძვლის მითითების გარეშე;
- სისხლის სამართლის საქმის განხილვა პროკურორის მონაწილეობის გარეშე;²⁶

- მოქალაქის მოთხოვნის მიუხედავად, სააღსრულებო ფურცლის არ გაცემა;
- სახელმწიფო ბაჟის საკითხზე მსჯელობის არ არსებობა (როდესაც ეს კანონით სავალდებულოა);
- ადმინისტრაციული ჯარიმის აღსასრულებლად არ მიქცევა;
- საქმისწარმოების ვადების დარღვევა;²⁷
- სისხლის სამართლის საქმის არ შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად;²⁸
- გადაწყვეტილების მიღება კანონით სავალდებულო მოტივაციის გარეშე;²⁹
- სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებს შორის, ასევე, გამოცხადებულ და მხარეზე გადაცემულ გადაწყვეტილებებს შორის არსებითი წინააღმდეგობების არსებობა;³⁰
- სასამართლოს გადაწყვეტილებაში გასაჩივრების ვადის ან გასაჩივრების შესაძლებლობის მიუთითებლობა ან არასწორი მითითება, რითაც დაზარალდა მხარე;³¹
- კენჭისყრის დროს თავის შეკავება ან განსხვავებული აზრის წერილობით წარმოუდგენლობა;³²
- კანონით გათვალისწინებული სასჯელის ან კანონით გათვალისწინებულ მაქსიმუმზე მაღალი სასჯელის შეფარდება;³³
- პირის დამნაშავედ ცნობა იმ დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მისთვის ბრალი არ წარუდგენიათ;³⁴
- იმ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერა, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში;³⁵
- სასამართლო გადაწყვეტილების მიღება სავალდებულო რეკვიზიტების გარეშე (მხარეები, ადგილი, დრო, გერბი, ხელმოწერა, სხვ.);³⁶
- სხვა ტექნიკური ხარვეზები საქმეში;³⁷
- შეგებებულ სარჩელზე მსჯელობის არ ქონა;³⁸
- შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, რომელიც საქმეში წერილობითი ფორმით არ ყოფილა წარდგენილი;³⁹
- კოლეგიურად განსახილველი საქმის ერთპიროვნულად განხილვა;

- მსჯავრდებულისთვის კანონით დადგენილ მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელის განსაზღვრა ან პირობითი მსჯავრის გამოყენება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;⁴⁰
- მოსამართლის მიერ საქმის თვითაქილება საფუძვლის მითითების გარეშე;⁴¹
- საქმეთა განხილვაზე ან გადაწყვეტილების შედგენაზე უარი;⁴²
- სხვა სასამართლოში მივლინების გადაწყვეტილების შესრულებისგან თავის არიდება;⁴³
- მოსამართლის მიერ სამსახურის მითვება ან სამსახურში გამოუცხადებლობა, არასაპატიო მიზეზით, რამაც სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია;⁴⁴
- მოსამართლის მიერ საქმის მასალების ან მნიშვნელოვანი დოკუმენტების დაკარგვა;⁴⁵
- აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე;⁴⁶

ვფიქრობთ, რომ სასურველია დისციპლინური ღონისძიება არ იყოს პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამო მოსამართლესთან კომუნიკაციის ერთადერთი ფორმა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო საქმიანობის ხარისხის შესწავლის მიზნით უნდა შეისწავლიდეს პრაქტიკაში არსებულ დარღვევებს და მოსამართლეს მიმართავდეს რეკომენდაციით აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოსწორების თაობაზე. თუ მოსამართლე კვლავ აგრძელებს კანონის დარღვევას, შესაძლებელია გამოყენებული იქნას დისციპლინური ღონისძიებები.

შემდეგი ქმედებები არ უნდა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია არაკეთილსინდისიერი მოტივით ან სისტემატურად (ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციების მიუხედავად - იხ. ზემოთ)

- განსჯადობის წესების დარღვევა;⁴⁷
- ნივთმტკიცების ბედის გადაუწყვეტლობა;
- ბაჟის არასწორად დაანგარიშება;
- მხარის მიერ არასათანადოდ დამონშებული დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად გადახდის ბრძანების გაცემა;
- მხარისთვის იმის მიკუთვნება რაც მას არ მოუთხოვია;
- უსწორობის განჩინებით მოპასუხისთვის დაკისრებული თანხის ოდენობის შეცვლა;
- ადვოკატის სხდომაზე დამწვება სავალდებულო წარმომადგენლობითი დოკუმენტაციის გარეშე;
- სასჯელის მოხდის ვადაში დაკავებისა და პატიმრობის დროის არ ჩათვლა;
- სასჯელთა შეკრების წესის დარღვევა;
- სასჯელის მოხდის ვადის არასწორი ათვლა;

მნიშვნელოვანია დისციპლინური გადაცდომის განსხვავება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლებისგან. აქ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს დამდგარ შედეგში. კერძოდ, თუ მოსამართლის არამართლზომიერმა ქცევამ ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნების არსებობისას შესაძლებელია სახეზე გვექონდეს არა დისციპლინური გადაცდომა, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ან სამსახურებრივი გულგრილობა;

სპეციფიურია ადმინისტრაციულ ფუნქციის მატარებელ მოსამართლეთა (სასამართლოს, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარეები) დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. მათ მიერ მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად უნდა ჩაითვალოს მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევა, მაგ. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 25-ე, 26-ე, 32-ე და 33-ე მუხლებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანად შესრულება. (მაგ. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმეთა გაჭიანურების მიზეზების არ წარმოდგენა.⁴⁸ ასევე, საქმეთა დაგვიანებული განაწილება⁴⁹ და სხვ.).

გ) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება⁵⁰

განმარტება: სამართლიანი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს (ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი) “მართლმსაჯულების გაჭიანურება მასზე უარის თქმას ნიშნავს“ (justice delayed is justice denied). საქმისწარმოების გაჭიანურება არა მხოლოდ ხელყოფს მხარის უფლებებს, არამედ სახელს უტეხს მართლმსაჯულების პრესტიჟსა და ავტორიტეტს. ამიტომაცაა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში მართლმსაჯულების დაყოვნება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ საფუძველს წარმოადგენს.

შემოთავაზებული კანონპროექტი იმეორებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ფორმულირებას, რომლის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

როგორც თავად კანონის ტექსტი ადგენს, საქმის გაჭიანურება უნდა იყოს „უსაფუძვლო“.

მოსამართლის მიერ საქმის დაყოვნების საფუძვლის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ კრიტერიუმებს, რასაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო იყენებს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს, კერძოდ: 1) ეს არის საქმის სირთულე (რაც გულისხმობს როგორც ფაქტობრივ, ასევე, სამართლებრივ სირთულეს - მხარეთა რაოდენობა, მონშეთა რაოდენობა, ექსპერტიზის, თარგმანის საჭიროება, საქმის სამართლებრივი ბუნება და სხვ); 2. მხარეთა მოქმედებები (მათ შორის საქმის დაყოვნების კენ მიმართული ღონისძიებები); 3. საქმის

განმხილველი მოსამართლის მოქმედებები. ამ კუთხით ყურადღება უნდა მიექცეს მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების ჩაუტარებლობას ხანგრძლივი დროის მანძილზე.⁵¹

გარდა ამისა, მხედველობაში, ასევე, მიღებული უნდა იქნას ფაქტორები, როგორცაა საქმის განხილვისთვის კანონით დადგენილი ვადა, საქმის განხილვის ხანგრძლიობა, გაჭიანურებულ საქმეთა რაოდენობა, მოსამართლის დატვირთულობა, მოსამართლის ხელში არსებული რესურსის საკმარისობა, აპარატზე არაჯეროვანი ზედამხედველობა, მოსამართლის მიერ საქმის მენეჯმენტი (მათ შორის საქმის მომზადება და საქმის აქტიური მენეჯმენტი, მოსამართლის ბრალეულობა სხდომების გადადებისას და სხვ.), ზიანი, რომელიც მიადგა მხარეებს საქმის დაყოვნების შედეგად.

სადისციპლინო კოლეგიის საქმის განხილვის გაჭიანურება ძირითადად გულისხმობს არსებითად განსახილველი საქმეების დაყოვნებას. სხვა საკითხების განხილვის ან საპროცესო მოქმედებების დაყოვნება უნდა მოექცეს მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ქვეშ.⁵²

დ) სამსახურის სისტემატურად გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე, რასაც შედეგად მოჰყვა სასამართლო საქმიანობის მნიშვნელოვანი შეფერხება; ასევე სასამართლოს სხდომებზე სისტემატური დაგვიანება არასაპატიო მიზეზით;⁵³

განმარტება: საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის შესაბამისად, "მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით;

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარით, 208-ე პუნქტით, მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს პუნქტუალობა საქმისწარმოებისას.

კალიფორნიის შტატის სამოსამართლო ქცევის კოდექსის წესი 3 ე (8) პუნქტის თანახმად, "სასამართლოს საქმიანობის სწრაფი დისპოზიცია მოსამართლისაგან მოითხოვს ადექვატური დრო დაუთმოს სამოსამართლო ვალდებულებას, იყოს პუნქტუალური სასამართლო პროცესზე დასწრებისას და სწრაფი მასზე დაკისრებული საქმეების განხილვისას".

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის დისციპლინური კანონმდებლობიდან მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძვლად შრომის წესების დარღვევა აღარ განიხილება და იგი ამოღებულია კანონიდან⁵⁴, როგორც სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2014-2015 წლების გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, სამართალწარმოებაში მონაწილე პირებისთვის (ადვოკატებისთვის) კვლავ მწვავე პრობლემად განიხილება და სამართლიან შემთავობას იწვევს მოსამართლეების მიერ სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყება, რის გამოც გამოკითხულთა 48%-მა მხარი დაუჭირა აღნიშნული ნორმის, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლის დამატებას მოქმედ კანონში. იხილეთ სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/DCJresultsGBA.pdf>, (გვ.

6). მხარეთა უფლების დარღვევის გარდა, აღნიშნულმა ქმედებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს სასამართლოს ავტორიტეტს და შეამციროს საზოგადოების ნდობა სასამართლოსადმი.

დათქმულ დროზე სხდომის არ დაწყება ასევე ნერგავს განცდას, რომ სასამართლო არ მის მიერვე დაწესებულ განრიგებს.

იმისთვის, რომ ქმედება აღნიშნული ნორმით დაკვალიფიცირდეს, ის უნდა იყოს ჩადენილი სისტემატურად და არასაპატიო მიზეზით, და მას შედეგად უნდა მოჰყვეს სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი შეფერხება.

სისტემატურობად უნდა ჩაითვალოს არანაკლებ სამი შემთხვევა.

მოსამართლის მიერ სხდომის დაგვიანებით დაწყება წინა სხდომის გაგრძელების ან დარბაზის დაკავებულობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო ჩაითვლება საპატიო მიზეზად, რაც გამორიცხავს აღნიშნული ნორმით კვალიფიკაციას.

სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვან შეფერხებად ჩაითვლება სხდომის ჩაშლა, დაუყოვნებლივ განსახილველი შუამდგომლობების (მაგ. აღკვეთის ღონისძიების, საპროცესო იძულების ღონისძიების) განუხილველობა მოსამართლის სამსახურში არყოფნის გამო და სხვ.

ე) მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა ან მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ კანონის სხვაგვარი დარღვევა⁵⁵

განმარტება: საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით: საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჭიბრებითობის პრინციპებს.

მსგავს აკრძალვას ადგენს აგრეთვე მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი.

მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, კომუნიკაცია განიმარტება, როგორც საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან ნებისმიერი ფორმით ურთიერთობა, მათ შორის, მიმონერა, საუბარი ტელეფონით ან სხვა სახის ტექნიკური საშუალებით.

ზემოთაღნიშნული კანონი ადგენს 2 სახის დისციპლინურ გადაცდომას: 1) მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლესთან კანონით აკრძალული კომუნიკაცია; 2) კომუნიციური ურთიერთობის მიერ დაზარალებული მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლესთან კანონით აკრძალული კომუნიკაცია;

მოსამართლის მიერ აღნიშნული ფაქტის შეუტყობინებლობა შესაბამისი თანამდებობის პირისათვის (ორგანოსათვის).

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კანონის მიხედვით, მოსამართლესთან აკრძალული კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქმის შესვლიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ანუ, თუ კომუნიკაცია დროის მონაკვეთში არ ხორციელდება, მაშინ ის დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენს.

აღნიშნულის გარდა, აკრძალული კომუნიკაცია, ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს 2 პირობას: 1) ის უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან საქმის სავარაუდო შედეგთან; 2) არღვევდეს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და შეჭიბველობის პრინციპებს.

მაშასადამე, არ არის აუცილებელი, რომ კომუნიკაცია მხოლოდ საქმის საბოლოო შედეგებს ეხებოდეს. ის შეიძლება ეხებოდეს საპროცესო იძულების ან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, მტკიცებულების დასაშვებობას და სხვ.

კომუნიკაცია 2 სახის ქმედებაში შეიძლება გამოიხატოს: 1) მოსამართლის მიერ ინფორმაციის გაცემა; 2) მოსამართლის მიერ ინფორმაციის მიღება.

მაშასადამე, კანონით აკრძალული კომუნიკაცია შეიძლება მოიცავდეს მათ შორის:

- მოსამართლისათვის საქმის განხილვის კონკრეტული შედეგის მოთხოვნას;⁵⁶
- მოსამართლესთან ერთად საქმის სამართლებრივი ან ფაქტობრივი საკითხების განხილვას;
- მოსამართლისათვის დამატებითი ფაქტობრივი ან სამართლებრივი არგუმენტების მიწოდებას;⁵⁷
- მხარისათვის საქმის შედეგების წინასწარ შეტყობინებას;⁵⁸
- მოსამართლის მიერ საქმესთან დაკავშირებით სხვისთვის ანგარიშის ჩაბარებას;
- მოსამართლისათვის ანგარიშის მოთხოვნას საქმესთან დაკავშირებით;
- მხარესთან კონსულტაციას გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით;⁵⁹
- მოსამართლის მიერ მხარისთვის ცალმხრივად მიცემულ ინსტრუქციებს;⁶⁰
- საქმის განმხილველი მოსამართლის თხოვნას ზემდგომი სასამართლოს მოსამართლისადმი, რომ მისი გადაწყვეტილება არ გაუქმდეს;⁶¹
- საქმის განმხილველი მოსამართლის ინიციატივით მისი კომუნიკაცია მესამე პირებთან საქმის გარემოებების გარკვევის მიზნით.⁶²

ვფიქრობთ, რომ მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ კანონის დარღვევად ჩაითვლება ასევე სხვა მოსამართლისათვის საქმის განხილვის გადადების ან დაჩქარების თხოვნა, რომელიც არღვევს პროცესის შეჭიბველობის პრინციპს.

მეორეს მხრივ, კომუნიკაციის წამომწყები მოსამართლის ქმედება, ასევე, შეიძლება დაკვალიფიციცრდეს სხვა ტიპის დისციპლინურ გადაცდომად (მოსამართლის თანამდებობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, იხ. ქვემოთ).

განხილული საქმის არსთან დაკავშირებით სასამართლოს თავმჯდომარისათვის ანგარიშის ჩაბარება ან მისთვის საქმის მოსალოდნელი შედეგის წინასწარ შეტყობინება ცალსახად წარმოადგენს კომუნიკაციის აკრძალვის წესის დარღვევას. ამისგან განსხვავდება სასამართლოს თავმჯდომარის კომუნიკაცია მოსამართლესთან საქმის განხილვის ვადასა და საქმის გაჭიანურების მიზეზებთან დაკავშირებით. საქმეთა განხილვის ვადებისა და საქმისწარმოების გაჭიანურების მიზეზების კონტროლი თავმჯდომარეთა კანონიერი ვალდებულებაა,⁶³ შესაბამისად, ასეთ საკითხებზე მოსამართლესთან ურთიერთობა კომუნიკაციის წესის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული ნორმა, ასევე, არ უკრძალავს მოსამართლეს კაზუსის სახით კონსულტაციები მიიღოს მოსამართლეებისაგან, აგრეთვე, მეცნიერ-იურისტებისგან.⁶⁴

აკრძალვის ქვეშ არ ექცევა მოსამართლესთან ისეთი ტიპის ცალმხრივი კომუნიკაცია, რომელიც დარეგულირებულია თავად კანონით, მაგ. საგამოძიებო მოქმედების შესახებ ბრძანების, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა და სხვ.

აკრძალული კომუნიკაცია შეიძლება შედგეს სასამართლოს სხდომის დარბაზშიც, მეორე მხარის გამოცხადებამდე.⁶⁵

აღნიშნული გადაცდომა ფორმალური ხასიათისაა და დამთავრებულად ითვლება კომუნიკაციის მომენტიდან. არ არის აუცილებელი, რომ მოსამართლემ შეასრულოს კომუნიკაციის შედეგად მოთხოვნილი ქმედება. თუ მოსამართლემ მოთხოვნილი ქმედება შეასრულა, ის შეიძლება ცალკე გადაცდომად დაკვალიფიცირდეს (მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა, იხ. ზემოთ).

კანონში არ არის აღნიშნული, რომ აკრძალული კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს უშუალოდ საქმის განხილველ მოსამართლესთან, თუმცა აღნიშნულს ადგენს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი. შესაბამისად, თუ კომუნიკაცია განხორციელდა არა საქმის განხილველ, არამედ სხვა მოსამართლესთან (თუნდაც სასამართლოს თავმჯდომარესთან), ის ამ კანონის მოქმედების ქვეშ არ მოექცევა.

რაც შეეხება კომუნიკაციის ფაქტის სასამართლოს თავმჯდომარისთვის ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის შეტყობინებას, ის დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს (ვფიქრობთ, რომ ეს გულისხმობს მაქსიმუმ 48 საათს). თუ შეტყობინება დაგვიანებით განხორციელდა, მაშინ სახეზეა კანონის მოთხოვნის დარღვევა და შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომა.

ვფიქრობთ, რომ სასურველია მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლითაც მოსამართლეს დაეკისრება ვალდებულება ცალმხრივი კომუნიკაციის თაობაზე აცნობოს მხარეებს და მისცეს მათ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის და თუნდაც აცილების დაყენების შესაძლებლობა.⁶⁶

ვ) თათბირის საიდუმლოების დარღვევა⁶⁷

განმარტება: საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „8“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომასწარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ფორმულირება უნდა შეიცვალოს „თათბირის საიდუმლოების დარღვევად“, ვინაიდან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება მოცულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის დარღვევის ნორმით.

თათბირის საიდუმლოების დარღვევა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც განზრახ, ასევე, გაუფრთხილებლობით.

მოცემული ნორმა ეხება მხოლოდ მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას. თუ მოსამართლემ დაარღვია ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება, აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 367¹ მუხლით.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ პროფესიული საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენებას, ის მოცულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონის“ დარღვევით (იხ. ქვემოთ).

ზ) საჯაროდ აზრის გამოთქმა განსახილველ, ან განხილვის პროცესში მყოფ საქმეზე, რაც არ ეხება საქმისწარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს⁶⁸

განმარტება: საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-6 მუხლით, მოსამართლე უპატივცემულოდ არ უნდა იხსენიებდეს სხვა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, მოსამართლე, მასმედიათან ურთიერთობის დროს, უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს.⁶⁹

ეს აკრძალვა ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლის წარმოებაში არსებულ, არამედ სხვა მოსამართლეთა საქმეებზეც.⁷⁰

მიუხედავად იმისა, რომ სამოსამართლო ქცევის წესები, ასევე, ეხება „დასრულებულ საქმეებს“, კანონი ამ კატეგორიას არ ითვალისწინებს. აღნიშნული საბუთდება იმით, რომ სამოსამართლო კომენტარი დასრულებულ საქმეებზე უფრო ნაკლებად საფრთხის შემცველია, ვიდრე განსახილველ ან განხილვაში მყოფ საქმეებზე შესაბამისად, ის არ უნდა იქნას შეტანილი გადაცდომათა ჩამონათვალში.

კონკრეტული საქმეებისგან განსხვავებით, მოსამართლეებს აქვთ უფლება კომენტარი გააკეთონ ზოგადად კანონზე, სასამართლო პროცედურებზე, სამართლებრივ სისტემებზე.⁷¹

თუ მოსამართლემ წინასწარ გამოთქვა აზრი საქმის შედეგებთან დაკავშირებით, მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება „ა.გ“ ქვეპუნქტით (საქმის შედეგების წინასწარ გამულაფნება, ან საქმეზე წინასწარ შექმნილი აზრის გამოხატვა, იმ ფორმით, რაც ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას).

სასამართლოს საქმეებზე და გადაწყვეტილებებზე კომენტარის გაკეთების აკრძალვა არ ეხებათ სპიკერ მოსამართლეებს. ეთიკის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, სპიკერი მოსამართლე, მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის გარეშე, გასცემს ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობაზე, აგრეთვე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაშუქებას. თუმცა, მე-18 მუხლი ადგენს, რომ მოსამართლემ მასმედიისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ უნდა გაახმაუროს კოლეგებს შორის ამა თუ იმ საკითხზე წამოჭრილი დავა ან დისკუსია. ამასთან, განცხადების გაკეთებისას არ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ მხარის პოპულარობა და ამ საკითხით მასმედიის თუ ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება.

თ) მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას⁷²

განმარტება: აღნიშნული ნორმა იმეორებს მოქმედი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რედაქციას.

მოსამართლის შეუფერებელი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც სასამართლოს შენობაში, ისე მის გარეთ.⁷³

სამოსამართლო ქცევების ბანგალორის პრინციპების კომენტარი (პარ. 106) გვთავაზობს მოსამართლისათვის შეუფერებელი ქცევის შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ქმედების კერძო ან საჯარო ხასიათი და განსაკუთრებით კანონთან მისი წინააღმდეგობა;
2. თუ რამდენად წარმოადგენს ეს ქმედება ინდივიდუალური უფლების განხორციელებას;
3. მოსამართლის წინდახედულობის და თავშეკავების ხარისხი;
4. რამდენად იყო ეს ქცევა მავნე ან შეურაცხმყოფელი სხვებისთვის;
5. საზოგადოების ან მისი ინდივიდუალური წევრების პატივისცემის ან უპატივცემულობის ხარისხი, რომელიც გამოვლინდა ამ ქცევაში;
6. ქცევაში გამოვლენილი მიკერძოების ან წინასწარი განწყობის, ან არაჯეროვანი ზეგავლენის ხარისხი.

ვფიქრობთ, რომ მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებად უნდა ჩაითვალოს მათ შორის შემდეგი:

- მოსამართლის მიერ თავის საჯარო განცხადებებში, გამოსვლებში, გადაწყვეტილებებში შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვების და გამოთქმების გამოყენება;⁷⁴
- მჭიდრო ურთიერთობები კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან;⁷⁵
- მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, როგორც სასამართლოში, ასევე, მის გარეთ;⁷⁶
- სხდომის ჩატარება მანტიის გარეშე;⁷⁷
- სხვაგვარი უღირსი ან უნესო ქცევა, რომელიც ჩადენილია სამსახურში ან მის გარეთ, საზოგადოების თვალწინ;⁷⁸
- მოსამართლის მიერ ისეთი გაერთიანების წევრობა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს;⁷⁹
- სატრანსპორტო საშუალების მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში;⁸⁰
- სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას ან მის გარეთ ჩდენილი სხვა ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებენ მოსამართლის პროფესიულ ღირსებას ან პატივს ან მართლმსაჯულების ავტორიტეტს, ჩადენილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას ან მის გარეთ”.⁸¹

ამ ქმედებების გადაცდომად კვალიფიკაციისთვის საჭიროა შედეგის დადგომა, ანუ სასამართლოს ავტორიტეტის შეზღაურება და სასამართლოსადმი ნდობის დაზიანება.

მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩადენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია და იგი სცდება დისციპლინური სამართლის ფარგლებს.

მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა შეიძლება იყოს ან არ იყოს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ის საზოგადოებრივი მორალის ნორმებს და ხელყოფს მოსამართლის ღირსებას.⁸²

მაგ. მოსამართლის მიერ საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევა, ზოგადად, არ წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ხოლო ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა,⁸³ პოლიციის მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა,⁸⁴ მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, უნდა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად.

ვფიქრობთ, რომ მოსამართლის მიერ სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობა (მაგ. კერძო ვალების გადაუხდელობა) არ შეიძლება ჩაითვალოს შეუფერებელ ქცევად.⁸⁵

თუ მოსამართლის შეუფერებელი ქცევა გამოიხატა მოსამართლის მიერ კოლეგების ან პროცესის მონაწილეთა პატივის და ღირსების შელახვაში, ის დაკვალიფიკირდება როგორც შეუფერებელ ქცევად, ასევე, უპატივცემულო, ღირსების შემლახავ მოპყრობად.

ი) ცრუ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალურ ან საჯარო განცხადებებში, მიმართვებში, ანგარიშებში⁸⁶

განმარტება:

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-3 პრინციპის თანახმად პატიოსნება მოსამართლის ერთ ერთი უმთავრესი თვისებაა. პატიოსნება არის აბსოლუტური ხასიათის და ის არ იზომება ხარისხობრივად. მოსამართლე უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი ტყუილის, სიყალბის ან თაღლითობისგან როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ (იხ. მე-3 პრინციპის კომენტარი).

მოსამართლის მიერ საჯაროდ ან ოფიციალური განცხადების სახით ცრუ ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს მოსამართლის შეუფერებელი ქცევის სპეციფიურ მაგალითს. მსგავსი ტიპის გადაცდომას ვაწყდებით ესპანეთის, ბოსნიის და აშშ დისციპლინურ სისტემებში.

საჯარო განცხადებები შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი. ამასთან ცრუ ინფორმაციად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ განზრახ არასწორი ფაქტობრივი ინფორმაციის გავრცელება, რაც არ ვრცელდება შეფასებით მსჯელობებზე.

აღნიშნულ გადაცდომად დაკვალიფიცირდება აგრეთვე მოსამართლის მიერ არასწორი ფაქტობრივი მონაცემების შემცველი დახასიათების (რეკომენდაციის) გაცემა.

აღნიშნულ გადაცდომად ჩაითვლება ასევე დანინაურების ან შეფასების დროს მოსამართლის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ცრუ ინფორმაციის წარდგენა.

კ) სასამართლო რესურსის გამოყენება პირადი მიზნებისთვის, სამსახურის საზიანოდ⁸⁷

განმარტება: ჩვენს მიერ მიმოხილული სამართლებრივი სისტემებიდან მსგავსი ნორმა გვხვდება მხოლოდ ამერიკულ და ფრანგულ დისციპლინურ პრაქტიკაში, თუმცა ვფიქრობთ, რომ ასეთი ნორმის არსებობა ქართულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია.

სასამართლო რესურსში მოიაზრება, როგორც ადამიანური, ასევე, მატერიალური რესურსი.

გადაცდომად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ რესურსის ისეთი გამოყენება, რომელიც აზიანებს სასამართლოს (პერსონალის მოცდენა პირად საქმეებზე, მატერიალური რესურსის გახარჯვა).

გადაცდომად არ უნდა ჩაითვალოს აპარატის მიერ ნებაყოფლობით მოსამართლის მინიმალური პირადი დავალების შესრულება, ან რესურსის მინიმალური გამოყენება პირადი მიზნებისთვის, რაც არ აზიანებს სასამართლოს ან ხელს არ უშლის მის ფუნქციონირებას.⁸⁸

ლ) მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის უკანონო ან დაუსაბუთებელი უპირატესობის მისაღებად⁸⁹

განმარტება: აღნიშნული გადაცდომა, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ევროპული ქვეყნების დისციპლინურ კანონმდებლობაში, ხელყოფს მართლმსაჯულების პრესტიჟს, საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას, ასევე, საზოგადოებრივ რწმენას მოსამართლის სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის მიმართ. საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი, რომ მოსამართლეს, რომელიც იყენებს თანამდებობას გარკვეული სარგებლის მისაღებად, უჩნდება ვალდებულება სარგებლის გამცემს დაუბრუნოს განეული სამსახური.⁹⁰ გარდა ამისა, ჩნდება ეჭვი, რომ მოსამართლე, რომელიც თავად არღვევს წესებს და უპირატესობის მისაღებად იყენებს თანამდებობას ვერ იქნება მიუკერძოებელი და სამართლიანი.

აღნიშნული ქმედება, ასევე, არღვევს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებს. ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი, ხოლო მე-4 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად.⁹¹

ბანგალორის სამოსამართლო ქვეყის პრინციპების კომენტარი (პარ 145) მიუთითებს შემდეგს: „მოსამართლეს საზოგადოება განსაკუთრებულ ფიგურად აღიქვამს და მას სასამართლოში და მის გარეთ ექცევიან პატივისცემით, ზოგჯერ განსაკუთრებული ყურადღებით. შესაბამისად, მოსამართლემ ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენების დაშვებული და დაუშვებელი შემთხვევები. დაუშვებელია მოსამართლემ თავისი პოზიცია გამოიყენოს, ან შეეცადოს მის გამოყენებას უპირატესობის ან რაიმე საშელავათო მოპყრობის მისაღებად“.

მოსამართლის მიერ თანამდებობის გამოყენება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

უპირატესობა (შელავათი) შეიძლება იყოს, როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური. არ არის აუცილებელი პირმა რეალურად მიიღოს შელავათი: ანუ უპირატესობის მიღების მცდელობის ეტაპზეც კი ეს გადაცდომა დასრულებულად ითვლება.

თუ მოსამართლე შელავათებს იღებს სამართალწარმოების მონაწილე პირებისგან, ეს შეიძლება ასევე ჩაითვალოს მიუკერძოებლობის შთაბეჭდილების შექმნის ვალდებულების დარღვევად.

თუ მოსამართლე უკავშირდება სხვა მოსამართლეს და თხოვს ცალკეული მხარისთვის უპირატესობის მინიჭებას, ეს ჩაითვლება როგორც მოსამართლეთა კომუნიკაციის შესახებ კანონის დარღვევად, ასევე, წინამდებარე ნორმის დარღვევად.

მეორეს მხრივ მოსამართლეს აქვს უფლება რეკომენდაცია მისცეს კანდიდატს სამსახურში დასაწყებად, თუმცა ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მოსამართლის პერსონალური ცოდნის საფუძველზე და ამ მიზნით სასამართლო ბლანკის გამოყენებაც დასაშვებია.⁹²

აღნიშნული გადაცდომის მაგალითებია:

- სასამართლოს ბლანკის გამოყენება პირადი საკითხების მოსაგვარებლად, მაგ. საფინანსო დაწესებულებებთან კომუნიკაციისას;⁹³
- მოსამართლის სტატუსის გამოყენება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის სახდელის თავიდან ასაცილებლად;⁹⁴
- მოსამართლის თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება დაახლოებული პირებისთვის სასამართლო აპარატის, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების, ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან შეღავათიანი მოპყრობის მოსაპოვებლად;⁹⁵
- მოსამართლის თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება სხვისი თხოვნით, არასაჯარო ინფორმაციის მოსაპოვებლად.⁹⁶

თუ მოსამართლის მიერ უფლებამოსილების გამოყენებამ თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, მაშინ აღნიშნული ქმედება არა დისციპლინურ გადაცდომად, არამედ დანაშაულად უნდა დაკვალიფიციროდეს (იხ. სსკ-ის 332-ე მუხლი).

მ) კოლეგების, სასამართლოს პერსონალის, პროცესის მონაწილეთა ან სხვა პირთა მიმართ უპატივცემულო, ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დამოკიდებულება, მუქარა, ზეწოლა ან შევიწროება⁹⁷

განმარტება: მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლით, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების #6.6 წესის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უნევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

უპატივცემულო და ღირსების შემლახავ დამოკიდებულებას წარმოადგენს მაგ. დაყვირება,⁹⁸ უხამსი მიმართვა,⁹⁹ დაცინვა,¹⁰⁰ ზეწოლა ან ნექსუალური ან სხვა სახის შევიწროება,¹⁰¹ დამაკნინებელი გამოთქმები,¹⁰² მუქარა,¹⁰³ მხარის სიცრუეში დადანაშაულება,¹⁰⁴ ადვოკატის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება კლიენტის თვალწინ.¹⁰⁵

მეორეს მხრივ, მოსამართლემ შესაძლებელია პროცესზე გამოამუღავნოს ადამიანური ემოციები, ვინაიდან ის არ არის უსულო არსება.¹⁰⁶

მხარის მიერ მოსამართლის პროვოცირება შესაძლებელია იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, თუმცა არა გამომრიცხავი გარემოება.¹⁰⁷

ნ) დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა¹⁰⁸

განმარტება: მუხლის აღნიშნული რედაქცია უცვლელად გადმოგვაქვს მოქმედი კანონიდან.

დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს ხელის შეშლა ან უპატივცემულობის მაგალითებია:

- დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება;¹⁰⁹
- დისციპლინურ საქმეში მონაწილე პირთა მიმართ მუქარა ან სხვაგვარი ზეწოლა;¹¹⁰
- დისციპლინური ორგანოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების არ მიწოდება;
- დისციპლინურ საქმეზე მტკიცებულებათა განადგურება ან ფალსიფიკაცია (თუ სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნები).

აგებს თუ არა მოსამართლე პასუხს დისციპლინურ საქმეზე ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობისათვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დისციპლინური პრაქტიკა წინააღმდეგობრივია: სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით აღნიშნული ჩაითვალა დისციპლინურ გადაცდომად, ხოლო 2006 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით – არ ჩაითვალა გადაცდომად.

მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების წარდგენის ვალდებულებას ასაბუთებს ის, რომ ახსნა-განმარტება არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის გარეშეც რთულია დისციპლინური საქმის სწორი გამოძიება და ჯეროვანი განხილვა. გარდა ამისა, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური ორგანო - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მას შემდეგ რაც დადგინდება, რომ არსებობს საფუძველი მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დასაწყებად. შესაბამისად, მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს უფლება, რომ სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი მმართველი ორგანოს შეკითხვები მის სავარაუდო გადაცდომასთან დაკავშირებით პასუხის გარეშე დატოვოს. მსგავს მიდგომას იზიარებს ასევე ამერიკული სასამართლო პრაქტიკა.¹¹¹

თუმცა საწინააღმდეგო არგუმენტი არის კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება მოსამართლეს მოთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. თუ რამდენად უტოლდება ახსნა განმარტების ჩამორთმევა მოსამართლისთვის კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნას, ცალკე ინტერპრეტაციის საკითხია, თუმცა ჩვენ მაინც ჩვენ

ვემხრობით მოსაზრებას, რომ ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობა დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვალოს.

მეორეს მხრივ დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელ ორგანოსთან თანამშრომლობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება დისციპლინური სანქციის განსაზღვრისას.

ო) შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა,¹¹² ან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა სხვაგვარი დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას¹¹³

განმარტება: საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:

„კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას“.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტექსტი უნდა შეიცვალოს სიტყვებით „**საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევა** თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას“ შემდეგი მიზეზების გამო:

1. თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებას სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ (რაშიც მართლმსაჯულების ინტერესებიც მოიაზრება) თავად შეიცავს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის“ მე-7 მუხლი, ამიტომ მასზე ცალკე მითითება ზედმეტია;
2. დისციპლინურ კანონში მოცემული „კორუფციული სამართალდარღვევის განმარტება“ არ ემთხვევა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში მოცემულ განმარტებას (იხ. მუხლი 3.2), შესაბამისად ეს განმარტებაც უნდა იქნას ამოღებული.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მოსამართლე არის თანამდებობის პირი, ამიტომ მასზე ვრცელდება კანონით დადგენილი აკრძალვები და შეზღუდვები.

აღნიშნული კანონის დარღვევად დაკვალიფიცირდება მოსამართლის შემდეგი ქმედებები:

ა. კანონით აკრძალული საჩუქრების მიღება (იხ. მუხ. 5), ხოლო საჩუქრის არაბრალეულად მიღების შემდეგ მის დეკლარირებაზე უარი (მუხ. 5²);

ბ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ან შესაძლებლობის გამოყენება სამსახურებრივი ინტერესის საწინააღმდეგოდ (მუხ. 7);

გ. სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების გამო მოქალაქისგან ანაზღაურების მოთხოვნა ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით (მუხ. 9.1);

დ. სასამართლოს მიერ შექმნილი ან მოპოვებული ინფორმაციის, ან ამ ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ნაშრომის, მოხსენების ან სხვა მასალის გამოქვეყნებისათვის ანაზღაურების მიღება (მუხ. 9.3 - გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა);

ე. საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენება (მუხლი 8);

ვ. ქონებრივი გარიგების დადება სასამართლოსთან (მუხ. 10);

ზ. გადაწყვეტილების მიღება საკითხზე, რომელშიც მოსამართლეს ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს (მუხ. 11.1);¹¹⁴

თ. სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ ახლო ნათესავის დანიშნვა, კონკურსის წესით დანიშვნის გარდა;

ი. მოსამართლის თანამდებობრივი შეუთავსებლობები (მუხ. 13);¹¹⁵

კ. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა (მუხ. 20).

საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-3 პუნქტით, მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა.

მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 22-ე მუხლით: მოსამართლის საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, დასაშვებია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს, არ უქმნის საფრთხეს სასამართლოს ავტორიტეტს, არ ქმნის ეჭვის საფუძველს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ ქვეყნის წესებს.

მოსამართლის შეუთავსებელ საქმიანობებს და ინტერესებს დეტალურად არეგულირებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლი.

ამავე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების თანახმად,

8. „თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.

9. თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ საბუთებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე კადრების შესაბამის სამსახურს.

სასურველია კანონით მოსამართლეს დაეკისროს ვალდებულება, რომ თუ აქვს ვარაუდი, მისი საქმიანობის შეუთავსებლობის თაობაზე, ამის შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მხოლოდ მისგან ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყოს შესაბამისი საქმიანობა.¹¹⁶

ვეფიქრობთ, რომ თუ მოსამართლეს ზემოთჩამოთვლილი რომელიმე დარღვევისთვის დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მას იმავე ქმედებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა ვეღარ დაეკისრება. ამის საფუძველს გვაძლევს კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ კანონის მე-20 მუხლი, რომელიც ამბობს: თანამდებობის პირის მიერ ამ კანონის მოთხოვნების ბრალეული დარღვევა, თუ იგი არ არის სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

ჰ) სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება¹¹⁷;

განმარტება: მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-12 მუხლით მოსამართლე ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე.

ტერმინი „სათანადო რეაგირება“ მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას არ გულისხმობს. დარღვევის ბუნების შესაბამისად, შესაძლოა, ადეკვატურად ჩაითვალოს მოხელისთვის შენიშვნის მიცემა, გაფრთხილება, დარღვევის შედეგების გამოსწორების დავალდებულება, მხარის მიმართ სასამართლოს უპატივცემულობისთვის ან წესრიგის დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გამოყენება.

მეორეს მხრივ, სასამართლოს სხდომაზე მხარის მიერ წესრიგის დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვება, სპეციფიური გადაცდომაა, რომელიც ცალკე კვალიფიკაციას საჭიროებს (იხ. ქვემოთ).

უ) სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაუცველობა, რაც ზიანს აყენებს მოსამართლის ღირსებას და სასამართლოს ავტორიტეტს.

განმარტება: სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლით, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია გააფრთხილოს პროცესის მონაწილეები და სხდომაზე დამსწრე პირები წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების შესრულების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოსაყენებელი შესაძლო ღონისძიებების თაობაზე (იხ. მაგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 210.2).

სხდომაზე წესრიგის დამრღვევ და სასამართლოს უპატივცემულობის გამომხატავ პირთა მიმართ სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საპროცესო კანონდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებანი.¹¹⁸

მოსამართლის მიერ სხდომაზე წესრიგის დაცვა გულისხმობს არა მხოლოდ სანქციების გამოყენებას, არამედ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლო პროცესის მშვიდი და შეუფერხებელი მსვლელობა.¹¹⁹ მოსამართლის მიერ წესრიგის დაუცველობა მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად, თუ ეს არის გამოწვეული მოსამართლის ბრალეული მოქმედებით ან უმოქმედობით და თუ სხდომის დარბაზში შექმნილმა უწესრიგობამ ხელყო მოსამართლის ღირსება და სასამართლოს ავტორიტეტი.

აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სასამართლო სხდომაზე და არა ზოგადად სასამართლოს შენობაში არსებულ წესრიგზე. სასამართლოს შენობაში წესრიგის დაუცველობა შეიძლება გახდეს სასამართლოს თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

რ) პოლიტიკური საქმიანობა, პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრობა, პოლიტიკური შეხედულებების საჯარო გამოხატვა.

განმარტება: საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-3 პუნქტით, „მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 26-ე მუხლით, „მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ან ასრულებდეს პარტიულ დავალებას, ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გამოდიოდეს სიტყვით“.

27-ე მუხლის თანახმად: „მოსამართლე საჯაროდ არ უნდა ამჟღავნებდეს თავის პოლიტიკურ შეხედულებას. აკრძალულია მისი მხრიდან ნებისმიერი პოლიტიკური პროპაგანდა როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ. მან ასევე საჯაროდ არ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მიმართ. ამასთან, მოსამართლემ სასამართლოს მოხელესაც უნდა ურჩიოს, თავი შეიკავოს პოლიტიკური საქმიანობის ან პოლიტიკური შეხედულებების დემონსტრირებისაგან“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული გადაცდომა შეიძლება გამოიხატოს მოსამართლის შემდეგ ქმედებებში:

- ა. პოლიტიკური საქმიანობა;
- ბ. პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობა;
- გ. პარტიული დავალების შესრულება;
- დ. პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით სიტყვით გამოსვლა;
- ე. პოლიტიკურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მიმართ საჯაროდ პოზიციის დაფიქსირება;
- ვ. პოლიტიკური შეხედულებების სხვა ფორმით საჯაროდ დაფიქსირება.

ს) გაფიცვა,¹²⁰ ან გაფიცვის კენ მონაღება

განმარტება: მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 28-ე მუხლით, მოსამართლეს ეკრძალება გაფიცვა. მას არა აქვს უფლება, რაიმე მოტივით, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, უარი თქვას ან სხვას მოუწოდოს სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ.

გადაცდომის ეს სახე გათვალისწინებულია ალბანეთის კანონმდებლობით.

¹ იხ. მაგ. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმეზე №37, 2009. ერთი ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემდეგ მოსამართლემ განაგრძო სისხლის სამართლის განხილვა სხვა ბრალდებულების მიმართ

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა

იტალია მუხ. 2 (1) (გ): (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის აცილების ვალდებულების წინასწარი შეცნობით შეუსრულებლობა);

ესპანეთი, მუხ. 417.ა.8 (საქმის თვითაცილების ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის შეცნობით, რომ სახეგვა კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი);

სერბეთი, მუხ. 90.1. (მოსამართლის მიერ საქმის თვითაცილებაზე უარი, როდესაც სახეგვა მოსამართლის თვითაცილების ან საქმიდან ჩამოცილების კანონით დადგენილი საფუძველი);

ბოსნია, მუხ. 66. 8. (მოსამართლის მიერ თვითაცილების ვალდებულების განუხორციელებლობა, როდესაც სახეგვა ინტერესთა კონფლიქტი);

რუმინეთი, მუხ. 99. ი. (საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც მოსამართლის ან პროკურორისთვის ცნობილი იყო საქმის განხილვის აცილების საფუძველები);

ალბანეთი, მუხ. 32.1.ვ. ვ. (საქმის აცილებაზე უარი, როდესაც ეს არის სავალდებულო სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით);

უკრაინა: საქმის მიუკერძოებლად განხილვის შესახებ მოთხოვნის დარღვევა, კერძოდ აცილების (თვითაცილების) წესის დარღვევა;

აშშ, სასამართლო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმეში Pulver, მოსამართლემ განიხილა თავისი ძმისშვილების და სიძის საქმე, რაც ჩაითვალა დისციპლინურ გადაცდომად (N.Y.1982, ალფინი, გვ. 4-33)

აღნიშნული ეხება არა მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილ საფუძველებს როგორცაა მაგ. საქმეში სხვა სტატუსით მონაწილეობა, სამართალწარმოებაში მონაწილე პირთან ახლო ნათესაობა და სხვ. (იხ. მაგ. სსსკ-ის 59-ე მუხლი), არამედ „სხვა გარემოებებს, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას“ (სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი), რომელთა არსებობა ცალსახაა და დავას არ იწვევს. მოსამართლე ასევე ვალდებულია აიცილოს საქმე, თუ თავად ეჭვი არ ეპარება საკუთარ ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, მაგრამ ასეთ ეჭვი იქმნება ობიექტური დამკვირვებლის თვალში (იხ. James Alfani, Judicial Conduct and Ethics, გვ. 4-11). ასეთი საქმეების განხილვისას სადისციპლინო ორგანოებმა უნდა გაიზიარონ სასამართლოების მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკა, თუ რა ითვლება აცილების საფუძველად (იხ. ალფინი, გვ. 4-33-4-40);

² აღნიშნულში მოიაზრება:

1. მხარეთა განსხვავებული მოპყრობა, აშკარა ფამილარობა, მხარის მიმართ აშკარა სიმპათიის ან ანტიპათიის გამოვლინება (იხ. საერთო სასამართლოებში მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტები, მუხ. 14.7. - მოსამართლემ, როგორც ნეიტრალურმა არბიტრმა, არ უნდა გამოხატოს მისი პიროვნული დამოკიდებულება და ემოციები, არც ვერბალური და არც არავერბალური (მიმიკა, სხეულის მოძრაობა და სხვ.) ფორმით). <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=552&newsid=4> აშშ სადისციპლინო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Antony Edwards, სადაც მოსამართლემ ჩაატარა პირველი წარდგენის სხდომა თავისი მეგობრის სისხლის სამართლის საქმეზე, დაუნიშნა მას სახაზინო დამცველი, ჩანიშნა აღკვეთის ღონისძიების განხილვის სხდომის თარიღი, ჩამოვიდა დარბაზში და გადაეხვია ბრალდებულს. იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/public_admon/Edwards_2-7-12.pdf
2. მხარისთვის სიტყვის არ მიცემა აშშ სადისციპლინო პრაქტიკიდან, იხ. მაგ. საქმე Bradfield, 2002 (ალფინი, გვ. 2-24), სადაც მოსამართლემ უარი თქვა მოესმინა არგუმენტები ბრალდებულის ვინაობასთან დაკავშირებით; მეორეს მხრივ, ეს არ გულისხმობს იმას, რომ მოსამართლეს არ აქვს უფლება მხარეს ჩამოართვას სიტყვა, როდესაც ის კავშირში არ არის საქმესთან, ან სიტყვის დასრულებისთვის განუსაზღვროს დრო (იხ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლი). **ასევე, იხ.** საერთო სასამართლოებში მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტები, მუხ. 14.3 (მოსამართლემ ყურადღებით უნდა მოუსმინოს მოქალაქეებს და არ გაანყვეტინოს მათ სიტყვა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოქალაქის სიტყვა შეუსაბამოა საქმის არსთან ან მიზნად ისახავს საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას).

3. **მხარის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება** (აშშ პრაქტიკიდან საქმე 33 Cal 3d, at 744, სადაც მოსამართლემ მხარეს უთხრა: „არც ერთი სიტყვის არ მჯერა რასაც ამბობ“, აგრეთვე, იხ. მაგ. საქმე In Re Smith, 1998, ალფინი გვ. 139, სადაც მოსამართლემ შექმნა მიკერძოების შთაბეჭდილება ბრალდების მონმის სანდოობის თაობაზე კომენტარის გაკეთებით).
4. მხარის შუამდგომლობის გამო უკმაყოფილობის გამოხატვა, იხ. მაგალითი რუსეთის სადისციპლინო პრაქტიკიდან. <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf>

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარი (პარ. 58) მიუთითებს შემდეგს: „მიკერძობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ვერბალურად, ისე ფიზიკურად. ეპითეტებით, შეურაცყოფილი მინიშნებებით, კნინობითი მეტასახელებით, ნეგატიური სტერეოტიპიზებით, კომენტარით სქესზე კულტურაზე ან რასაზე, . . . ქცევით შეიძლება გამოიხატოს მონმისადმი უნდობლობა, რაც გავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულებზე. სახის გამომეტყველებამ შეიძლება მხარეებს ან ადვოკატებს, მსაჯულებს ან მედიას შეუქმნას მიკერძობის შთაბეჭდილება“.

³ იხ. სამოსამართლო ეთიკის წესების, მუხ. 5. სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.

იხ. აგრეთვე, მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხ. 19 „მოსამართლე საჯაროდ ან პირად საუბარში უნდა მოერიდოს ისეთ განცხადებას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა, რომ ეს განცხადება ხელს შეუშლის საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას“.

იხ. აგრეთვე, სამოსამართლო ეთიკის წესების, მუხ. 21 „მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რომ საზოგადოებამ არ აღიქვას იგი მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან თუ ჯგუფთან მიმართებაში“.

აშშ დისციპლინური პრაქტიკიდან, საქმეზე Nancy Pollard, მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანამდე წინასწარ გამოხატა მოსაზრება საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე („საქმეც იმაშია, რომ ბრალდებულმა დაზარალებულს შეაფურთხა, კისერში ხელით წვდა, გაუნადგურა ძვირფასი ქონება“ - იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/public_admon/Pollard_07-13-11.pdf), კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ უკვე გაიზიარა ერთი მხარის ვერსია მეორე მხარის არგუმენტების მოსმენამდე.

საქმეში Edwards, მოსამართლემ დარბაზის გასაგონად ჩაილაპარაკა „აი კიდევ პროკურატურის მიერ ზედმეტად წარდგენილი ბრალის ერთი მაგალითი“ - იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/public_admon/Edwards_2-7-12.pdf

აზრის წინასწარი გამოვლენა შეიძლება ეხებოდეს ასევე გარკვეული კატეგორიის საქმეებს, იხ. მაგ. საქმე In Re Gonzalez, ალფინი, გვ. 2-29. სადაც მოსამართლემ განაცხადა რომ ის გაუნახევრებდა სასჯელს ყველა ბრალდებულს, რომელიც თავს ცნობდა დამნაშავედ კვირის ამ კონკრეტულ დღეს. მაგ. საქმეზე Catchpole, მოსამართლემ განაცხადა, რომ „სექსუალური შევიწროების საქმეები ყველასთვის საზიანოა და არის სასამართლო სისტემის ბოროტად გამოყენება“. საქმეზე Moruza, 2008, მოსამართლემ ოჯახური ძალადობის საქმის განხილვისას განაცხადა, რომ ასეთი საქმეების იყო „დროის ფუჭი ფლანგვა“ და „იდიოტობა. იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/Public_Admon/Moruza_Pub_Adm_12-16-08.pdf, იმავე მოსამართლემ ჯანმრთელობის დაზიანების საქმის განხილვისას განაცხადა, რომ მისი ვაჟიც ისევე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა ბრალდებული. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ გამოხატა წინასწარი განწყობა და მიკერძოება საქმის მიმართ.

მეორეს მხრივ ზოგად სამართლებრივ საკითხებზე მოსამართლის მიერ აზრის წინასწარ გამოხატვა არ უნდა ჩაითვალოს მიკერძოების გამოვლინებად.

⁴ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-10 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

მაკედონია, მუხ. 76.3 (დისკრიმინაციის აკრძალვის წესის დარღვევა, ნებისმიერი საფუძვლით)

ბოსნია, მუხ. 66. ბ. (სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელება მიკერძოებით ან წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის საფუძველზე, მხარის, რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, ეროვნული წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის, ან სოციალური და ეკონომიური სტატუსის მიხედვით);

⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობიდან იხ. მაგ. რუმინეთი, მუხ. 99 პ. (საქმეთა აღბათობით განაწილების მარეგულირებელი ნორმის დაუცველობა)

”საქმის განაწილებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევა” (უკრაინა).

მაგალითი რუსეთს სასამართლო პრაქტიკიდან: სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილა სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ, სხდომის თავმჯდომარემ ისე შეცვალა სხდომის შემადგენლობა, რომ აღნიშნულზე არ არსებობდა კოლეგიის ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება. აღნიშნული საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას;

⁶ საზღვარგარეთული ქვეყნების კანონმდებლობა.

იტალია მუხ. 3.1. ე) (მაგისტრატის მიერ, წინასწარი შეცნობით სისხლის ან სამოქალაქო წარმოებას დაქვემდებარებული ან მონაწილე პირებისგან (იმ ოლქში, სადაც მაგისტრატე ახორციელებს უფლებამოსილებას), მათი ადვოკატებისგან, დაზარალებულების, მონმეების ან ამ პროცედურებში ჩართული სხვა პირებისგან სესხის ან შეღავათების პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღება);

სერბეთი, მუხ. 90.1. (არაჯეროვანი ურთიერთობების დამყარება საქმის წარმოებაში მონაწილე პირებთან და მათ წარმომადგენლებთან);

ბოსნია, მუხ. 66. ლ. საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან არაჯეროვანი ურთიერთობის დამყარება;

ალბანეთი, მუხ. 32.3 გ. (საქმის განხილვისას პროცესის მონაწილის თანხლება);

აშშ დისციპლინური პრაქტიკიდან, იხ. საქმე Di Figlia (2007), სადაც მოსამართლე პირადად ახლდა საქმეში მონაწილე ადვოკატის მდივანს საშობაო დღესასწაულზე. იხ. http://cjg.ca.gov/res/docs/Public_Admon/DiFiglia_01-09-07.pdf

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე 2013-14, სადაც ერთ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მოსამართლე და კოლეგიის წევრი პროკურორი ერთმანეთს ფამილარულად ესაუბრებოდნენ ტვიტერის მეშვეობით, რაც ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისთვის და განმარტდა მედიაში;

⁷ სამოსამართლო ეთიკის წესების 25-ე მუხლით, მოსამართლე არ შეიძლება გახდეს ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც ერთგულების ფიცი დადებას მოითხოვს, ანდა ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

იტალია “საიდუმლო გაერთიანების წევრობა ან ისეთი ასოციაციის წევრობა, რაც ობიექტურად შეუსაბამოა მოსამართლის ვალდებულებებთან”;

⁸ იხ. მაგ. იტალია, მუხ. 3 (კ) მაგისტრატის ნებისმიერი სხვა ქცევა, რომელმაც შეიძლება შელახოს მაგისტრატის დამოუკიდებლობა, დაუინტერესებლობა ან მიუკერძოებლობა, ან შექმნას ასეთი შთაბეჭდილება.

კოსოვო, მუხ. 34, სამოსამართლო უფლებამოსილების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხორციელებლობა.

ბოსნია, მუხ. 66, მოსამართლის მიერ მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა;

⁹ იხ. სამოსამართლო ქვეყნის ბანგალორის პრინციპები, პრინციპი 2 (კომენტარი);

¹⁰ კანონების ჩამონათვალი, ზუსტ დასახელება და შესაბამისი მუხლების ქართული თარგმანი მოცემულია საიტზე www.dcj.court.ge

¹¹ იტალია, 2.1.ტ: სისტემატურად და არასაპატიო მიზეზით სამსახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობა.

მონტენეგრო, მუხ. 50: სამოსამართლო ვალდებულებების დაუდევრად შესრულება;

კოსოვო, მუხ. 34.1.2 სამოსამართლო უფლებამოსილების შეუსრულებლობა, ან დაუდევარი შესრულება;

ხორვატია, მუხ. 63.2. სამოსამართლო ვალდებულების დაუდევარი შესრულება;

ბოსნია, მუხ. 66.თ თ. დაუდევრობა ან უკულისყურობა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას;

რუმინეთი, მუხ. 99.გ გ. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაზე დაუსაბუთებელი უარი;

ესტონეთი: "მოსამართლის მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, რომელიც გამოიხატება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში";

ლატვია: "სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა ან საქმის გადაწყვეტის დროს უხეში დაუდევრობა";

მოლდოვეთი: "მოსამართლის ბრალით მისი მოვალეობის შეუსრულებლობა ან დაგვიანებული შესრულება საპატიო მიზეზის გარეშე";

ბრალდებულთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას მკაცრი შეფასება მისცა **ნიუჯერსის** უზენაესმა სასამართლომ მოსამართლე **დი ლეოს საქმეზე (დ-66-12) 0702095, 27 ანგარი 2014 წელი**); გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ "მოსამართლის მიერ ჩადენილმა აშკარა და მართლაც უხეშმა შეცდომებმა ძმებს კირტლანდებს ჩამოართვეს არა მხოლოდ მათი კონსტიტუციური უფლება მოთხოვნისამებრ დანიშნულად საზოგადოებრივი ადვოკატი, არამედ აგრეთვე სამართლიანი სასამართლოს უფლება"; ასევე, აღნიშნულია, რომ „საქმეების დასრულების მიზანი არასოდეს გადაწონის ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების დაცვას“ <http://www.judiciary.state.nj.us/supreme/index.htm>

¹² სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლით, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განხორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით;

¹³ იხ. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, საერთაშორისო გამჭვირვალობა, ახალგაზრდა ორისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - გვ. 17 - http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Mosamartleta%20pasukhismgeblobis%20sistemis%20analizi_0.pdf

¹⁴ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მესამე პუნქტი;

¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი;

¹⁷ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 13 (3);

¹⁸ სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლით, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განხორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით;

¹⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, ასევე კ. ნიქარიშვილი, „განსხვავება მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის, ამერიკული გამოცდილება“ <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/legalerrorandjudicialmisconduct.pdf>

²⁰ საფრანგეთი, 1958 წლის კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ: ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება პროცესუალური წესის მძიმე და წინასწარშეცნობილი დარღვევა დადგენილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოადგენს მხარეთა უფლებების ფუნდამენტურ გარანტიას;

ალბანეთი, მუხ. 32.1.გ. გ. სავალდებულო პროცესუალური წესების განმეორებითი და გაუმართლებელი დარღვევა, რამაც გამოიწვია ან შექცეო გამოიწვია მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ან მართლმსაჯულების ხელყოფა;

იტალია: 3. საპროცესო აქტის მიღება, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, კანონით დადგენილი ფარგლების გარეშე, რაც გამოიწვევს უხეში და არასაპატიო დაუდევრობით;

მაკედონია, მუხ. 75.1 სამართლიანი პროცესის წესების განზრახ დარღვევა;

მაკედონია, მუხ. 76.2 მხარეთა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა უფლებების უხეში დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და სასამართლოს ფუნქციას;

²¹ მართებულად მიგვაჩნია ილინოისის უზენაესმა სასამართლოს მიდგომა, რომ სადისციპლინო ორგანოებს „არ აქვთ უფლება განმარტონ საკანონმდებლო ბუნდოვანებები, და აიძულონ მოსამართლეები დაექვემდებარონ კანონის ამგვარ განმარტებებს“ იხ. People Ex Rel. Harrod, 372 N.E. 2nd. ალფინი, გვ. 237;

²² იხილეთ ზემოთ მოსამართლე დი ლეოს საქმე;

²³ მაგალითები რუსეთის პრაქტიკიდან:

1) სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლემ დაარღვია განსასჯელის დაცვის უფლება, რასაც შედეგად მოჰყვა განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად;

2) ადვოკატს საქმის გასაცნობად არ მიეცა გონივრული დრო და შეეზღუდა განსასჯელთან განმარტებით შეხვედრის უფლება, კერძოდ, ადვოკატს 6-ტომიანი საქმის გასაცნობად გამოეყო 1 საათი, ასევე, მოსამართლემ უფლება არ მისცა ადვოკატს შეხვედროდა განსასჯელს განმარტებით, პოზიციის შესათანხმებლად;

3) მოსარჩევეებს არ მიეცათ საქმის გაცნობის შესაძლებლობა <http://spe.vkks.ru/publication/24643/>;

4) მოსამართლემ არასრულწლოვანის საქმეში არ ჩართო მისი კანონიერი წარმომადგენელი, რითაც დაარღვია არასრულწლოვანი პირის დაცვის უფლება;

5) მოსამართლემ ადვოკატებს არ მისცა დრო დაცვითი სიტყვის მოსამზადებლად, რის გამოც ადვოკატებმა ვერ წარმოთქვეს დაცვითი სიტყვა;

6) განსასჯელს არ მიეცა საბოლოო სიტყვის წარმოთქმის უფლება;

7) მოსამართლემ მსჯავრდებულს არ მისცა საქმის მასალების და სხდომის ოქმის გაცნობის საშუალება. საქმე დაბრუნდა საკასაციო სასამართლოდან იმის გამო, რომ მსჯავრდებული არ იყო გაცნობილი საქმის მასალებს და სხდომის ოქმს;

²⁴ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Elloe (La, 2006), ალფინი, გვ. 2-24, სადაც მოსამართლემ ბრალდებულს ნასამართლობა მოუხსნა საქმის მოსმენის გარეშე, რაც სავალდებულო იყო კანონით;

²⁵ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკიდან, იხ. In Re Hammermaster, 1998, ალფინი, გვ. 2-31;

²⁶ იხ. მაგ. სადისციპლინო კოლეგიის 2007 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება;

²⁷ საქმის არსებითი განხილვის ვადის დარღვევა შეიძლება ასევე დაკვალიფიცირდეს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებად.

²⁸ იხ. სადისციპლინო კოლეგიის 2008 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება; საფრანგეთის სადისციპლინო პრაქტიკიდან, იხ. საქმე 024-170- გამოძიების მოსამართლემ გააჭიანურა მრავალი საქმე, რომელთაგან მრავალი არ შეწყვიტა იმის მიუხედავად, რომ მათზე ხანდაზმულობის ვადა იყო გასული;

²⁹ იტალია, მუხ. 2.1.6. (აქტის გამოცემა კანონით დადგენილი სავალდებულო მოტივაციის გარეშე, ანუ რომლის მოტივაციაც შედგება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის დადასტურებისგან, ფაქტობრივი ელემენტების მითითების გარეშე, რომლებიც ამ საფუძვლების არსებობას ადასტურებენ);

ესპანეთი, მუხ. 415.ა.15: სასამართლო გადაწყვეტილებებში აუცილებელი მოტივაციის აბსოლუტური და აშკარა არ არსებობა, რაც დადასტურებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით;

რუმინეთი, მუხ. 99. ს. დასაბუთების აბსოლუტური არ არსებობა სასამართლო გადაწყვეტილებებში კანონის შესაბამისად;

ალბანეთი, მუხ. 32.1.8. დასაბუთების აბსოლუტური არარსებობა სასამართლო გადაწყვეტილებაში;

³⁰ იხ. მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკიდან 2012 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სადაც სააპელაციო სასამართლოს პალატამ მხარეს გაუგზავნა დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილი განსხვავდებოდა იმავე საქმეზე მხარისათვის გადაცემული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისგან;

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან საქმე 135-2004: მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა განაცხადა ხმაურიანი პროტესტი მოსამართლის მიერ გამოცხადებულ სასჯელზე, მოსამართლემ შეცვალა სასჯელი და ის გააორმაგა; მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც პროკურორი გავიდა დარბაზიდან, მოსამართლემ შეცვალა გადაწყვეტილება და პირს შეუფარდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება;

იხ. აგრეთვე საქმე 193-2011, სადაც მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ კოლეგიის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად შეცვალა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი;

მაგალითები რუსეთის ფედერაციის სადისციპლინო პრაქტიკიდან: 1) მოსამართლემ ერთი და იგივე პირის მიმართ ერთი და იგივე საქმეზე სხვადასხვა თარიღით გამოიტანა სხვადასხვა შინაარსის განაჩენი; 2) მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე გამოაცხადა სხვა შინაარსის განაჩენი, ხოლო მხარეებს გადასცა შეცვლილი განაჩენის ასლები, კერძოდ, სხდომაზე გამოცხადებული განაჩენის მიხედვით პირს სასჯელის სახით დაუნიშნა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მხარეებისათვის გადაცემულ განაჩენის ასლში მითითებული იყო თავისუფლების შეზღუდვა ერთი წლის ვადით, ასევე დაუნესა სასჯელის მოხდის სხვა დამატებითი პირობები, რაც არ გამოუცხადებია სხდომაზე; 3) მოსამართლემ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარს დაურთო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის დადგენილება <http://uly.vkks.ru/publication/16332/>; 4) მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოიტანა ორი სხვადასხვა შინაარსის გადაწყვეტილება, რომელიც გაეგზავნა დაზარალებულს, გადაწყვეტილების ორივე ასლზე იყო მოსამართლის ხელმოწერა; პირველი გადაწყვეტილებით პირი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დაეკისრა მართვის უფლების ჩამორთმევა ერთი წლის ვადით, ხოლო მეორე გადაწყვეტილებით საქმე შეწყდა წარმოებით დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო; 5) მოსამართლემ მსჯავრდებული პირის მიმართ დაადგინა ორი სხვადასხვა შინაარსის გამამტყუნებელი განაჩენი; სისხლის სამართლის საქმეში აღმოჩენილი იქნა ორი სხვადასხვა შინაარსის განაჩენის დამონმებული ასლები, კერძოდ, პირველი განაჩენის მიხედვით პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და რვა თვით, ხოლო მეორე განაჩენის მიხედვით - სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ასევე, განაჩენების სამოტივაციო ნაწილის შინაარსიც; (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სადისციპლინო ორგანოებში საქმეთა განხილვის პრაქტიკის განზოგადება), სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf>

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა

იტალია: მუხ. 2.1.დ 6. საპროცესო აქტების განზრახ შედგენა, რომლის სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილი ლოგიკურად, შინაარსობრივად ან არგუმენტების თვალსაზრისით აშკარა წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან;

³¹ იხ. მაგ. სადისციპლინო კოლეგიის 2007 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ განაჩენში მიუთითა, რომ არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას);

³² იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლი;

³³ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან, იხ. მაგ. Texas Commission on Judicial Conduct, Dec. 17, 1999 (Jeffrey Shaman, Steven Lubet, James ალფინი, Judicial Conduct and Ethics გვ. 2-8), იქვე, Mississippi Commission on Judicial Performance v. Neal, 774 SO, 2d, 414 (Miss 2000);

³⁴ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. საქმე Re Brown (N.C. 2000), ალფინი, გვ. 2-31;

³⁵ იხ. მაგ. სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება;

³⁶ იხ. მაგ. სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება;

³⁷ მაგ. სხდომის ოქმზე ხელმოწერის არ არსებობა, საქმეში სხდომის ოქმის არ არსებობა, განაჩენის ხელმოწერა და სხვ.;

იხ. მაგალითი რუსეთის ფედერაციის პრაქტიკიდან. 1) 12 საქმეში - სხდომის ოქმზე არ არის მოსამართლის ხელმოწერა; 2) სისხლის სამართლის 28 საქმეზე: ზოგიერთ მათგანში არ იღო სხდომის ოქმი, სხდომის ოქმებზე არ იყო მოსამართლის ხელმოწერა <http://che.vkks.ru/publication/14686/>; 3) სხდომის ოქმი არ იღო სისხლის სამართლის 22 საქმეში; 4) მოსამართლის მიერ განხილულ 45 სამოქალაქო საქმეში არ იღო სხდომის ოქმი, საქმე არ იყო დანომრილი და შეკერილი, ზოგიერთ სხდომის ოქმზე არ იყო მოსამართლის ხელმოწერა;

რუსეთის ფედერაციის პრაქტიკიდან: მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ განჩინებაში არ მიუთითა თავისი მონაცემები, არ მოაწერა ხელი;

³⁸ იხ. სადისციპლინო კოლეგიის 2009 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

³⁹ აქ ასევე მოიაზრება მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც სათანადო წესით წარმოდგენილი არ ყოფილა. იხ. მაგ. აშშ სასამართლო პრაქტიკიდან საქმე Commission on Judicial Performance v. Perdue, სადაც მოსამართლემ ბავშვზე დროებითი მეურვეობა მიაკუთვნა მამას, შესაბამისი მოთხოვნის წარმოდგენის, ან პროცესის ჩატარების გარეშე (ალფინი, გვ. 2-25);

⁴⁰ მაგალითები რუსეთის დისციპლინური პრაქტიკიდან: 1) მოსამართლემ პირობითი მსჯავრი დაუნიშნა საშიმ რეციდივისტს (კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ) (განაჩენი შეიცვალა ზემდგომ ინსტანციაში); 2) მოსამართლემ მძიმე კატეგორიის საქმეებზე ბრალდებულ პირებს დაუნიშნა პირობითი მსჯავრი, კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvlevedi/RussianDecisions.pdf>;

⁴¹ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა

იხ. მაგ. ესპანეთი, მუხ. 418.14 საქმის თვითაცილება შესაბამისი საფუძვლის გარეშე, რაც დადასტურდა შესაბამისი პალატის გადაწყვეტილებით;

⁴² საფრანგეთის სადისციპლინო პრაქტიკიდან

იხ. საქმე 023-170, სადაც სასამართლოს პლენუმმა არასრულწლოვანთა მოსამართლის გარდაცვალების შემდეგ მოსამართლეს დააკისრა არასრულწლოვნების მოსამართლის ფუნქციების დროებითი შესრულება. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მისი დატვირთულობის, ასევე სპეციალური განათლების არქონის გამო;

იხ. აგრეთვე საქმე 083-1995, მას შემდეგ, რაც კოლეგიის მოსამართლემ უარი თქვა გადაწყვეტილების დანერგვით გადატვირთულობის მოტივით, ის შეადგინეს მისმა კოლეგებმა;

აგრეთვე, საქმე 162-2008 მოსამართლე ხშირად არ ცხადდებოდა სხდომებზე და სასამართლოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე უკან დაუბრუნა საქმე, რომელიც მას დაენერა;

რუსეთის ფედერაციის პრაქტიკიდან: 1) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეში არ იღო გადაწყვეტილება, საქმეზე იყო მოსამართლის მინანერი: "არ ვიცი რა გავაკეთო";

⁴³ ბოსნია, მუხ. 66. უ. სხვა სასამართლოში დროებითი მივლინების გადანაცვეტილების შესრულებისთვის თავის არიდება;

⁴⁴ ესპანეთი, მუხ. 10. სამსახურის მიტოვება ან არასაპატიო მიზეზით და განგრძობითად გამოუცხადებლობა 7 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში იმ სასამართლოში სადაც მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას;

ალბანეთი, მუხ. 28. ბ. სამსახურის დატოვება ან გაუმართლებელი გაცდენა 7 ან მეტი დღით, რითაც ზიანი მიადგა ან შეიძლებოდა მიდგომოდა მხარეთა კონსტიტუციურ უფლებებს ან მართლმსაჯულების განხორციელებას;

მაკედონია, მუხ. 77.10 სამსახურში გამოუცხადებლობა დადგენილი წესების მძიმე დარღვევით;

საქმეში Mc Brian, მოსამართლემ მოწმის დაკითხვის დამთავრებამდე დატოვა დარბაზი, ისე რომ მხარეებისთვის არაფერი უთქვამს სხდომის გადადების ან შესვენების თაობაზე“ იხ. http://cjpg.ca.gov/res/docs/s_c_cites/McBrien_49_Cal.4th_CJP_Supgg_315.pdf

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკიდან იხ. საქმე 177-2010 მოსამართლე ხშირად აცდენდა სამსახურს, რის გამოც საჭირო ხდებოდა მისი ჩანაცვლება სხვა მოსამართლით;

⁴⁵ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. საქმე spitzer, http://cjpg.ca.gov/res/docs/s_c_cites/Spitzer_49_Cal.4th_CJP_Supgg_254.pdf ;

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე 063 – 1992;

⁴⁶ მაგალითად, - გაუსვლელობის ხელწერილის გამოყენება იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით, მოქმედი სსსკ-ის 202-ე მუხლი;

მაგალითი რუსეთის ფედერაციის პრაქტიკიდან - მოსამართლემ არასრულწლოვან პირს აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ შეუფარდა პატიმრობა (რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდება მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდების შემთხვევაში);

⁴⁷ ქართული (და რუსული) დისციპლინური პრაქტიკისგან განსხვავებით მივიჩნევთ, რომ განსჯადობის წესის დარღვევა არ უნდა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად, თუ არ არის ჩადენილი განზრახ ან/და არაკეთილსინდისიერი მოტივით;

მაგალითები რუსული სადისციპლინო პრაქტიკიდან:

1) მოსამართლემ დაუსწრებელი გადანაცვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მაშინ როდესაც საქმე იყო სხვა სასამართლოს განსჯადი; 2) მოსამართლემ დაარღვია სასამართლო განსჯადობის წესი, განიხილა საქმე, რომელიც ექვემდებარებოდა საარბიტრაჟო სასამართლოს ოურისდიქციას; 3) მოსამართლემ სამოქალაქო საქმეზე დაარღვია განსჯადობის წესი, კერძოდ, მოსამართლემ წარმოებაში მიიღო სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე და ისე დააკისრა მოპასუხეებს 5 500 000 000 მანეთი, გამოწერა სააღსრულებო ფურცელი, ხოლო მოგვიანებით გამოიტანა განჩინება აღნიშნული გადანაცვეტილების იძულებით აღსრულებაზე, რომ არცერთი მოპასუხე არ იყო რეგისტრირებული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე და საქმე განსჯადობით ეკუთვნოდა სხვა სასამართლოს. 4) მოსამართლემ პირველი ინსტანციით გადასინჯა სისხლის სამართლის საქმე, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მოქმედი სსსკ-ის მიხედვით კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ შემდგომი ინსტანციის სასამართლოს, <http://len.vkks.ru/publication/24595/>;

⁴⁸ იხ. სადისციპლინო კოლეგიის 2007 წლის 1 სექტემბრის გადანაცვეტილება. თუმცა აღნიშნული დისციპლინური საქმე შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;

⁴⁹ იხ. მაგ. ალფინი, გვ. 258;

⁵⁰ **საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა;**

იტალია, მუხ. 2.(1) (ს): (სამსახურებრივი ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება სერიოზული და არასაპატიო გაჭიანურებით);

რუმინეთი, მუხ. 99 თ. (საქმეების სწრაფი განხილვის მარეგულირებელი ნორმების განმეორებითი და არასაპატიო დარღვევა, ან უფლებამოსილების განმეორებითი და არასაპატიო განხორციელება ჩადენილი განმეორებით);

ბოსნია, მუხ. 66.კ. (გადაწყვეტილებების გამოტანა ან სხვა მოქმედებების განხორციელება გაუმართლებელი დაყოვნებით);

ესპანეთი, მუხ. 418.10 (საპროცესო მოქმედებების ან საქმეების დაწყების ან წარმართვის გაჭიანურება არასაპატიო მიზეზით, თუ ეს არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას);

ესპანეთი, მუხ. 419 (3) (მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ განხილვაში მყოფ ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე, სასამართლო გადაწყვეტილების შედგენისათვის კანონით დადგენილი ვადების არასაპატიო მიზეზით და უსაფუძვლოდ დარღვევა);

მაკედონია, მუხ. 75.1. (გონივრულ ვადაში საქმის განხილვის პრინციპის დარღვევა ან საქმის წარმოების გაჭიანურება საპატიო მიზეზის გარეშე);

ალბანეთი, მუხ. 32.2.ა. ა. (საპროცესო მოქმედებების დაუსაბუთებელი და განმეორებითი დაყოვნება, როდესაც დაგვიანება იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მხარეების კონსტიტუციური უფლებების დარღვევა ან ზიანი მოუტანოს მართლმსაჯულების განხორციელებას);

ბულგარეთი, მუხ. 307.3.1 (საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების სისტემატური შეუსრულებლობა; ასევე, მუხ. 307.3.2 ნებისმიერი ქმედება, რომელიც უსაფუძვლოდ აჭიანურებს საქმისწარმოებას);

სერბეთი, მუხ. 90.1. (არასაპატიო მიზეზით წერილობითი გადაწყვეტილების შედგენის დაყოვნება; არასაპატიო მიზეზით საქმის განხილვის ჩანიშვნის დაყოვნება; არასაპატიო მიზეზით საქმის წარმოების გაჭიანურება);

უკრაინა: "მოსამართლის მიერ განცხადების, საჩივრის ან საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის შესახებ ზომების მიუღებლობა"

⁵¹ იხ. მაგ. Jacobs and White, The European Convention on Human Rights, გვ. 167)

⁵² მაგალითები სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკიდან: მოსამართლემ დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩააბარა კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით - 7 თვისა და 25 დღის დაგვიანებით (სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2011 წელს განხილული საქმე #20); კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის დარღვევით - 1 თვისა და 2 დღის შემდეგ (სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2005 წელს განხილული საქმე #57); სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრისა და საქმის გადაგზავნა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით (სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2009 წელს განხილული საქმე #4).

⁵³ სერბეთი, მუხ. 90.1. ხშირი დაგვიანება საქმის განხილვაზე;

ალბანეთი, მუხ. 32.2.ბ. ბ. სასამართლო სხდომის დაწყება განმეორებითი დაგვიანებით;

მაგალითები რუსეთის სადისციპლინო პრაქტიკიდან: 1) მოსამართლემ ერთი კვირის მანძილზე ორჯერ დააგვიანა სამსახურში მისვლა რამდენიმე საათით, რამაც შეაფერხა სხდომების დროული დაწყება; 2) მოსამართლემ წერილობითი განცხადებით მიმართა თავმჯდომარეს სამი დღით განთავისუფლების თაობაზე. მიუხედავად უარისა, მოსამართლე სამსახურში არ გამოცხადდა სამი დღის მანძილზე, რითაც შეფერხდა სასამართლოს საქმიანობა და ზიანი მიადგა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს; 3) მოსამართლე სისტემატიურად აცდენდა სამსახურს საპატიო მიზეზის გარეშე, კერძოდ, მოსამართლე 247 სამუშაო დღიდან სამსახურში არ იმყოფებოდა 72 დღე; 4) მოსამართლემ საპატიო მიზეზის გარეშე მიატოვა სამუშაო ადგილი; 6) მოსამართლე სამსახურში არ გამოცხადდა ორი დღის მანძილზე, საპატიო მიზეზის გარეშე, მოსამართლემ თავმჯდომარე მოატყუა, თითქოს იმყოფებოდა ექიმთან მიღებაზე, რაც გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა; <http://kha.vkks.ru/publication/17892/>; 7) მოსამართლე ორი დღის განმავლობაში არ იმყოფებოდა სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე, რამაც გამოიწვია 5 საქმის განუხილველად დატოვება; 8) მოსამართლემ სხდომა დაიწყო 35 წუთის დაგვიანებით

აღნიშნულისგან განსხვავებით, ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ფორმულის თანახმად, მოსამართლის ქმედებები დისციპლინურ გადაცდომად დაკვალიფიცირდება თუ არის სისტემატური, არასაპატიო და მოსდევს მძიმე შედეგი;

⁵⁴ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის კანონმდებლობით (ბელარუსი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი;) შრომის დისციპლინის დარღვევა კვლავ წარმოადგენს გადაცდომას, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

⁵⁵ **საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა;**

იტალია, მუხლი 2(1)(თ) (თ. სხვა მაგისტრატის სამოსამართლო საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევა);

იტალია მუხლი 2 (1) (ი)ი. მაგისტრატის მიერ, მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევის ფაქტის ხელმძღვანელისათვის შეუტყობინებლობა;

ესპანეთი: მუხ. 417.1.4 ბრძანებით, ზენოლით ან ნებისმიერი სხვა მეთოდით სხვა მოსამართლის ან მაგისტრატის სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევა;

რუმინეთი, მუხ. 99. ლ. სხვა მოსამართლის ან პროკურორის საქმიანობაში ჩარევა;

ალბანეთი, მუხ. 32.2.დ. დ. სხვა მოსამართლის საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა ან სხვაგვარი ზეგავლენა;

მოლდოვა - "სხვა მოსამართლის სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევა";

სომხეთი: "ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით ეთიკის კომისიისათვის შეუტყობინებლობა მის საქმიანობაში ჩარევის შესახებ ან მის საქმიანობაზე კანონით გათვალისწინებული სხვა ზემოქმედების შესახებ, რაც დაკავშირებულია მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან;

⁵⁶ მაგალითები აშშ-ს სადისციპლინო პრაქტიკიდან

იხ. მაგ. საქმე In Re Figueroa, სადაც ერთმა მოსამართლემ მეორეს თხოვა შეღავათიანი სასჯელი თავისი ძმის შვილიშვილისთვის, იხ. ალფინი, გვ. 5-16;

იხ. მაგ. მოსამართლე სალვადორ სარმიენტოს საქმე (კალიფორნიის შტატი), რომელსაც ბრალად დაედო უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა, რათა მას გაეუქმებინა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მისი მეუღლისთვის დაკისრებული ჯარიმა 300 აშშ დოლარს ოდენობით (იხ. კალიფორნიის სამოსამართლო ქვეყის კომისიის გადაწყვეტილება, 5 ივლისი, 2012 წელი); მოსამართლემ დაარღვია ეთიკის კოდექსის წესი 3 ბ (7) (ცალმხრივი კომუნიკაციის აკრძალვა). იხილეთ კალიფორნიის შტატის სამოსამართლო ქვეყის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://cjp.ca.gov/complaint> process.htm;

⁵⁷ საქმეში Platt, 48 Cal.4th CJP Supგვ. 227 [Aug. 2002], მოსამართლე დაუკავშირდა თავის კოლეგას და მიანოდა ფაქტები ამ უკანასკნელის წარმოებაში არსებულ საქმეზე;

⁵⁸ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან, იხ. გადაწყვეტილება საქმეზე, In Re Wilkins, სადაც მოსამართლემ მოჰასუხეს სატელეფონო საუბარში აცნობა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სუსტი იყო და მის დაკმაყოფილებას არ აპირებდა (იხ. ალფინი, გვ. 5-6); საფრანგეთის სადისციპლინო პრაქტიკიდან იხ. საქმე n. 011, 1962, სადაც მოსამართლემ წინასწარ განუცხადა მხარეს, რომ ის მნიშვნელოვან თანხას დააკისრებდა სახელმწიფოს მის სასარგებლოდ (რაც განხორციელდა კიდევ თავისი გადაწყვეტილებით);

იხილეთ ასევე, რუსეთის ფედერაციის პრაქტიკიდან: "მოსამართლემ დაზარალებული და მისი წარმომადგენელი შეიყვანა თავის სამუშაო კაბინეტში და წინასწარ გამოთქვა აზრი საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და მოსალოდნელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით"; აღნიშნული დარღვევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ა.გ. "საქმის შედეგების წინასწარ გამჟღავნება", ისე "კომუნიკაციის წესების დარღვევა" (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სადისციპლინო ორგანოებში საქმეთა განხილვის პრაქტიკის განზოგადება), მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf> ;

⁵⁹ იხ. ალფინი, გვ. 5-7;

⁶⁰ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Spitzer, სადაც მოსამართლემ პროკურორს ურჩია ქმედების გადაკვალიფიცირება (http://cjpg.ca.gov/res/docs/s_c_cites/Spitzer_49_Cal.4th_CJP_Suppg_254.pdf)

⁶¹ იხ. მაგ. საქმე Herrington, ალფინი, გვ. 99;

⁶² აშშ დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე State v. Emanuel, ალფინი, გვ. 5-18 ; სატრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე 136-2004 სადაც მოსამართლე პროცესის ფარგლებს გარეთ შეხვდა და მოუსმინა სისხლის სამართლის საქმეზე;

⁶³ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Schnider, სადაც თავმჯდომარე დისციპლინური წესით დაისაჯა იმის გამო, რომ არ შეახსენა მოსამართლეს მის წარმოებაში არსებული გაჭიანურებული საქმეების თაობაზე http://cjpg.ca.gov/res/docs/Public_Admon/Schnider_DO_08-31-09.pdf;

⁶⁴ იხ. კომენტარები სამოსამართლო ეთიკის კოდექსზე, მუხ. 16;

⁶⁵ იხ. მაგ. საქმე In Re Yengio, სადაც მოსამართლემ სხდომის დარბაზში მოპასუხის მოსვლამდე მოსარჩელესთან ერთად განიხილა საქმის ფაქტები;

⁶⁶ იხ. მაგ. აშშ მოსამართლეთა სამოდელო ეთიკის კოდექსი, წესი 2.9 (ა);

⁶⁷ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

რუმინეთი, მუხ. 99. კ. თათბირის საიდუმლოების დარღვევა ან საიდუმლო დოკუმენტების ან აქტების გახმაურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად;

ხორვატია, მუხ. 63 (6) ოფიციალური საიდუმლოების დარღვევა, რომელიც უკავშირდება სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას.

ბოსნია, მუხ. 66.დ. დ. კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება, რომელიც მოსამართლისთვის ხელმისაწვდომი გახდა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას;

ალბანეთი, მუხ. 32.2.თ თ. საიდუმლო ხასიათის მქონე ოფიციალური აქტების ან დოკუმენტების, ან ინფორმაციის ან რეგისტრაციის გასაჯაროება;

მოლდოვა: ”თათბირის საიდუმლოების ან პროცესის კონფიდენციალობის გამჟღავნება, ასევე, სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გაყვმა, რომელზეც მოსამართლეს ხელი მიუწვდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას”;

⁶⁸ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. CJP, Kevin Ross, 2001, სადაც მოსამართლემ პირდაპირ ეთერში გამოსვლისას კომენტარი გააკეთა მის განხილვაში მყოფ არასრულწლოვნის საქმეზე. მართალია მას ბრალდებულის ვინაობა არ გაუმხელია, მაგრამ საქმის დეტალები იძლეოდა საქმის ამოცნობის საშუალებას. იხ. აგრეთვე საქმე Hayes, სადაც მოსამართლემ უურნალისტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები ადვოკატებთან და ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით. ალფინი, გვ. 10- 44;

საქმეში Broadman, კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, თუ რატომ არღვევს სამოსამართლო საქმეებზე მოსამართლის კომენტარის აკრძალვა მოსამართლის აზრის გამოხატვის თავისუფლებას: „ვინაიდან მოსამართლეები არიან ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო „ხილული“ წარმომადგენლები და სამართალწარმოებისას ნეიტრალური გადანყვეტილების მიმღებნი, მათი საჯარო კომენტარი საზოგადოების მიერ აღიქმება უფრო ავტორიტეტულად ვიდრე ადვოკატების კომენტარი. სწორედ იმიტომ, რომ მოსამართლეებს აქვთ მეტი ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე, მათ მიერ გაკეთებულ არაჯეროვან კომენტარს შეუძლია მეტი საფრთხე შეუქმნას სამართალწარმოების სამართლიანობას“

იქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ „მიმდინარე საქმეზე სამოსამართლო კომენტარს შეუძლია შექმნას შთაბეჭდილება, რომ მოსამართლემ წინასწარ განსაჯა საქმე, გახდა მხარის ინტერესების ადვოკატი, ან სასამართლო გადანყვეტილების ავტორიტეტს იცავს არასამართლებრივი საშუალებებით“ (იხ. Broadman v Commission, 18 Cal. 4th at pგვ. 1100-1101, Rothman, გვ. 224);

გავრთიანებული სამეფოს დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. JCIO 24-15, სადაც მოსამართლემ სტატია გამოაქვეყნა ნაციონალურ გაზეთში და ასევე ისაუბრა რადიოში მის განხილვაში მყოფი საქმის დეტალებზე, რომლის იდენტიფიცირებაც შეეძლო ბრალდებულს;

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

იტალია, მუხ. 2.1.დ: (საჯარო განცხადებები ან ინტერვიუები, რომლებიც ნებისმიერი სახით ეხება სამართალწარმოების მონაწილეებს განხილვაში მყოფ საქმეებზე, საჯარო განცხადებები ან ინტერვიუები ისეთ საქმეებზე, რომლებიც ჯერ არ არის დასრულებული გადაწყვეტილებით და რომლებიც აღარ საჩივრდება ჩვეულებრივი წესით);

სერბეთი, მუხ. 90. 1. (მედიისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებზე ან საქმეებზე კომენტარის გაკეთება კანონისა და საქმისწარმოების შესახებ წესების დარღვევით);

ბოსნია, მუხ. 66. ო. (სასამართლოში საქმის განხილვის დროს მასზე კომენტარის გაკეთება, რამაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს პროცესზე ან ხელი შეუშალოს საქმის სამართლიან განხილვას, ან ჯეროვანი ზომების მიუღებლობა, რათა მოსამართლის დაქვემდებარებაში მყოფმა პირებმა არ გააკეთონ ასეთი კომენტარი);

⁶⁹ იხ. კალიფორნიის შტატის სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, სარეკომენდაციო კომიტეტის კომენტარი (9): “მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს საჯარო კომენტარი მიმდინარე ან მოახლოებულ პროცესზე ნებისმიერ სასამართლოში და ასევე არ უნდა გააკეთოს არასაჯარო კომენტარი, რომელმაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე”;

⁷⁰ საქმეში In Re Broadbelt, მოსამართლემ სატელევიზიო გადაცემაში კომენტარი გააკეთა 50-მდე გახმაურებულ საქმეზე, რაც ჩაითვალა ეთიკის კოდექსის დარღვევად. იხ. ალფინი, გვ. 10-44 ; იხ. აგრეთვე Rothman, გვ. 226;

⁷¹ იხ. ალფინი, გვ. 10-45;

⁷² საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

ბულგარეთი, მუხ. 307.3.4 (ნებისმიერი ქმედება რომელიც ხელყოფს სასამართლოს პრესტიჟს);

მონტენეგრო, მუხ. 50, (მოსამართლის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს რეპუტაციას);

მაკედონია, მუხ. 77.3 (უნესკო და უღირსი ქცევა ჩადენილი საზოგადოების თვალწინ);

ხორვატია, მუხ. 63.7 მოსამართლის ავტორიტეტისა და სასამართლოს ავტორიტეტის სხვაგვარი ხელყოფა;

რუმინეთი, მუხ. 99. ა. ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ მართლმსაჯულების ღირსებას და პროფესიულ შეუვალობას, ჩადენილი სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეთ;

აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი: სასამართლოს სახელის გამტეხი ქმედების ჩადენა;

ლატვია: უღირსი საქციელი ან სამოსამართლო ეთიკის ნორმების უხეში დარღვევა;

ლიტვა: ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ღირსებას;

ესტონეთი: მოსამართლის უნესო ქცევა;

იხილეთ სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: “პოსტსაბჭოთა ქვეყნების დისციპლინური სამართალწარმოება”, <http://dcj.court.ge/uploads/Legislation/Foreign-Legislations/DCJ-PostsovietLegislations.pdf>;

⁷³ სამოსამართლო ეთიკის წესების მე-4 მუხლი: მოსამართლე უნდა უფროთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად;

⁷⁴ იხ. სამოსამართლო ეთიკის წესების მე-20 მუხლი: „მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია“;

ესპანეთი, მუხ. 418.5. ორიდული დასაბუთების თვალსაზრისით, სასამართლო გადაწყვეტილებებში უსარგებლო ან უადგილო, უგუნური, ან აშკარად შეურაცხმყოფელი ან უპატივცემულო გამოთქმების გამოყენება;

რუმინეთი, მუხ. 99.ტ სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება, რომლებიც ეწინააღმდეგება ორიდულ დასაბუთებას, ხელყოფს სასამართლოს და მაგისტრის ღირსებას;

ალბანეთი, მუხ. 32.2.8. შეუფერებელი ან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას;

მოლდოვა – “გადაწყვეტილებაში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება ან გადაწყვეტილების დასაბუთება ორიდული ლოგიკის აშკარად საწინააღმდეგოდ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ავტორიტეტს ან მოსამართლის პროფესიულ ღირსებას”;

⁷⁵ ეს შეიძლება გამოიხატოს მათ დახმარებაში, ან მათგან რაიმე შეღავათის ან სარგებლის მიღებაში. იხ. ალფინი, გვ. 10-24 საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობიდან;

იხ. საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება 019 – 1965, სადაც მოსამართლემ ახლო ურთიერთობები დაამყარა საექვო რეპუტაციის მქონე პირებთან;

იხ. აგრეთვე საქმე 040, 1980, სადაც მოსამართლემ თავისთან შეიფარა ტოქსიკომანები და სისხლის სამართლებრივად მსჯავრდებული პირები; ასევე დაეხმარა ორ მათგანს მათ პოლიციის ძეგნისგან თავის დაღწევაში სისხლის სამართლის საქმეზე 135-2004, ბრალდებულ პირს, რომელიც შემჩნეული იყო ასევე ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში, მოსამართლე აძლევდა ორიდულ რჩევებს;

აგრეთვე, საქმე 186-2010, სადაც მოსამართლე ორიდულ რჩევებს აძლევდა საკუთარ მეგობარს, რომელიც ჩართული იყო პორნოგრაფიულ ბიზნესში;

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა

იხ. მაგ. იტალია, მუხ. 3.1. ბ) (წინასწარი შეცნობით საქმიანი ურთიერთობების წარმოება სისხლის ან პრევენციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ ან დანაშაულებრივი ჩვევების მატარებლად, დანაშაულისკენ მიდრეკილად ან პროფესიონალ დამნაშავედ გამოცხადებულ, ან ი არაგანზრახი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე მეტი ვადით მისჯილ პირთან (რეაბილიტაციას დაქვემდებარებული პირის გარდა);

⁷⁶ მაგ. საქმეში In Re Bier, მოსამართლე პისტოლეტს იწვევდა სასამართლოში, ხოლო საქმეში Jones, ხელჩართული ჩხუბი გააჩაღა თავის კოლეგასთან (იხ. ალფინი, გვ. 10-16);

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა

მაკედონია, მუხ. 76.1 საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის უხეში დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციასა და სასამართლო პრესტიჟს;

⁷⁷ მაკედონია, მუხლი 77.4 მოსამართლის მანტიის ტარებაზე უარის თქმა;

მაგალითი რუსეთის ფედერაციის სადისციპლინო პრაქტიკიდან:

მოსამართლემ სხდომა ჩაატარა მოსამართლის მანტიის გარეშე, მოსამართლემ მანტია ჩაიცვა მხოლოდ მოპასუხის შენიშვნის შემდეგ სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf>

⁷⁸ იხ. სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება: მოსამართლემ რესტორანში ჩაიღინა შეუფერებელი ქცევა, რომელიც გახმაურდა პრესაში;

მაკედონია, მუხ. 77.3 (უწესო და უღირსი ქცევა ჩადენილი საზოგადოების თვალწინ);

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან საქმე 079-1974 მოსამართლე სამჯერ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება თავისი საყვარლის ქმართან;

იხ. აგრეთვე საქმე 177-2010 მოსამართლე ხშირად შედიოდა პროცესზე მთვრალ მდგომარეობაში, რის გამოც მას საუბარი უჭირდა (სხდომის მდივანს მიმართავდა მეტსახელით, მდებარეობით სქესის სხდომის მონაწილეს მიმართავდა ბატონობით);

⁷⁹ სამოსამართლო ეთიკის წესების 25-ე მუხლით მოსამართლე არ შეიძლება გახდეს ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს;

⁸⁰ იხ. მაგ. საქმე Widdifield, სადაც მოსამართლეს, რომელიც ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში დაეკისრა საჯარო საყვედური;

გაერთიანებული სამეფოს დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. JCIO 03/12;

⁸¹ მაგალითები რუსეთის ფედერაციის დისციპლინური პრაქტიკიდან 1) “მოსამართლემ განაჩენის გამოცხადების შემდეგ მიუთითა მომხდარი ტრავმის მცირე მნიშვნელობაზე და დაზარალებულ პირს (რომლის ქალიშვილიც გარდაიცვალა ავტო-საგზაო შემთხვევისას), ურჩია ეზრუნა სხვა შვილის გაჩენაზე”;

2) მოსამართლე სხდომების მსვლელობისას აკეთებდა უსაფუძვლო განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს სასამართლოს ხელმძღვანელობა მასზე ახდენდა ზეწოლას, ჩამოართვეს საქმეები და არ აძლევდნენ მათი განხილვის შესაძლებლობას, რითაც ჩრდილს აყენებდა სასამართლოს ავტორიტეტს; სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf> ;

⁸² მაგალითები რუსეთის ფედერაციის დისციპლინური პრაქტიკიდან: 1) მოსამართლემ არაერთგზის დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რითაც საფრთხე შეუქმნა ფეხით მოსიარულე პირებს, კერძოდ, მოსამართლე თავისი კუთვნილი ა/მანქანით დადიოდა ბორდიურზე, სადაც მუდმივად იმყოფებოდნენ ქვეითად მოსიარულეები, რომელთაც გადაუკეტეს მას გზა და მისი ქმედება გადაიღეს ვიდეოზე, ხოლო შემდეგ აღნიშნული ფაქტი გამოქვეყნდა მასმედიაში; 2) ავტოსაგზაო შემთხვევისას, რასაც შედეგად მოჰყვა მძღოლისა და მგზავრის გარდაცვალება, ასევე, ორი მოქალაქის სხეულის დაზიანება, ერთ-ერთ ა/მანქანას მართავდა მოსამართლე, რომელიც არ დაემორჩილა სამართალდამცავების მოთხოვნას და არ გაიარა ალკოტესტი, რის შემდეგაც მოსამართლე გაუჩინარდა ნარკოლოგიური დისპანსერიდან; სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf>

⁸³ იხ. მაგ. საქმე Widdifield, სადაც მოსამართლეს, რომელიც ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში დაეკისრა საჯარო საყვედური;

გაერთიანებული სამეფოს დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. JCIO 03/12;

⁸⁴ იხ. აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი;

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე 074-1994, მოსამართლე (წითელზე გავლისას) არ დაემორჩილა პოლიციელის მოთხოვნას გაეჩრებინა ავტომანქანა. (საბჭომ მიუთითა რომ მოსამართლემ კანონმორჩილების მაგალითი უნდა მისცეს სხვა მოქალაქეებს);

⁸⁵ განსხვავებულ მიდგომა გვხვდება ფრანგულ პრაქტიკაში. იხ. საქმე 141-2005. მოსამართლეს, რომელსაც ჰქონდა ვალეები კერძო პირების წინაშე და არ ისტუმრებდა, უჩივლეს საკუთარ სასამართლოში, რაც მაგისტრატურის უმაღლეს საბჭომ მოსამართლის ავტორიტეტის შემლახავ ქმედებად ჩათვალა;

⁸⁶ აშშ დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე Graw, სადაც მოსამართლემ მედიასთან ურთიერთობის დროს უარყო ის ფაქტი, რომ იყო დისციპლინური სახდელდადებული, (რაც არ წარმოადგენდა სიმართლეს). იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/Censures/McGraw_9-3-02.pdf. იხ. აგრეთვე CJP, Patrick Cowenberg, 2001, სადაც მოსამართლემ იცრუა, რომ ის იყო ვიეტნამის ომის ვეტერანი. ეს ინფორმაცია საჯაროდ გაუღვრებულ იქნა მოსამართლეების დანიშვნის ცერემონიაზე. საქმეში Freedman (2007), მოსამართლემ ხელფასის ასაღებად წარადგინა ცრუ განცხადება, თითქოს მას წარმოებაში არ ჰქონდა ვადაგადაცლილებული საქმეები (ვადაგადაცლილებული საქმეების არქონა წარმოადგენდა ხელფასის აღების წინაპირობას);

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე 053, 1990 სადაც მოსამართლემ მოიტყუა ავტომანქანის დაზღვევის გაფორმების დროს განცხადების შევსებისას (თითქოს მას ავტოსაგზაო შემთხვევა არასოდეს განუცდია);

საქმე 101 – 1998, სადაც მოსამართლემ იცრუა სასამართლოს თავმჯდომარისთვის სტატისტიკური ანგარიშების მიწოდებისას, კერძოდ შეამცირა მის წარმობაში არსებული დამთავრებული საქმეების რიცხვი (215 საქმე დააფიქსირა და 79 დაფარა);

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

ესპანეთი, მუხ. 417. ა.11 ცრუ ინფორმაციის მიწოდება შვებულების თაობაზე განცხადებებში, ნებართვებში, შესაბამისობის, ხარჯებისა და ფინანსური დახმარების შესახებ დეკლარაციებში;

ბოსნია, მუხ. 66. ს. ს. სამუშაოს დაწყების მიზნით განცხადების შეტანისას, დისციპლინურ საქმეებზე, დანინაურების ან კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების ან ნებისმიერი სხვა საკითხის განხილვისას, რომელიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება, განზრახ ყალბი, მცდარი ან არასაკმარისი მონაცემების მიწოდება;

⁸⁷ იხ. AJS Comments on Preliminary Draft of Revisions to ABA Model Code of Judicial Conduct;

მოსამართლე არ გამოიყენებს სასამართლო აპარატს, რესურსებს, საკანცელარიო მასალას, აპარატურას არასამოსამართლო საქმიანობისათვის გარდა შემთხვევითი და მინიმალური სარგებლობისა არა - პოლიტიკური საქმიანობისთვის ან იმ საკითხებისთვის რაც უკავშირდება კანონს, სამართლებრივ სისტემას ან მართლმსაჯულების ადმინისტრირებას“;

აშშ სადისციპლინო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Coates, 2009, სადაც მოსამართლე საკუთარ კლერკს იყენებდა პირადი კორესპონდენციების საწარმოებლად. http://cjgg.ca.gov/res/docs/Public_Admon/Coates_RC_12-02-09.pdf; იხ. აგრეთვე საქმე 178 W.Va.722 ალფინი, გვ. 6-32, სადაც მოსამართლე თავის მდივანს ასრულებინებდა ძიძის ფუნქციებს. საქმე In Re Devis, ალფინი, გვ. 6-32, სადაც მოსამართლე სასამართლო თარჯიმნებს იყენებდა საკუთარი ოჯახის ბიზნესისთვის საჭირო დოკუმენტების სათარგმნად, ალფინი, გვ. 6-31; იხ. საქმე Mc Graw, სადაც მოსამართლე საკუთარ აპარატს იყენებდა წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. იხ. http://cjgg.ca.gov/res/docs/Censures/McGraw_9-3-02.pdf მეორეს მხრივ, საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე 046-1986, სადაც სასამართლოს თავმჯდომარემ კანცელარიის არქივიდან ამოიღო დალუქული ნივთმტკიცებები: ტელევიზორი, მოსასმენები, კამერა, პროექტორი, ვიდეო-მაგნიტოფონი, რომლებსაც იყენებდა პირადი სარგებლობისთვის. (საბჭომ ხაზი გაუსვა იმას, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს კანცელარიის გამართული ფუნქციონირება და სხვას უნდა მისცეს გასაკიცხი ქმედების მაგალითი);

⁸⁸ იხ. აგრეთვე Rothman, გვ. 3.33 ვირჯინიის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მოსამართლემ იშვიათად შეიძლება აპარატს ნებაყოფლობით შეასრულებინოს მინიმალური დავალება, თუ ეს არ უშლის ხელს აპარატის სამსახურებრივი ფუნქციის განხორციელებას“. იხ. ალფინი, გვ. 6-32;

⁸⁹ იხ. აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Rushing, სადაც მოსამართლე, რომელიც ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში, შეეცადა სანქციისგან თავის არიდებას თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით. იხ. http://cjgg.ca.gov/res/docs/Censures/Rushing_06-08-06.pdf იხ. აგრეთვე საქმე Schwartz, 2006 http://cjgg.ca.gov/res/docs/Censures/Schwartz_06-08-06.pdf

საქმეში Danser, 2005, მოსამართლემ დაურეკა პოლიციას და თხოვა გაეუქმებინათ მის შვილზე გამონერვილი ჯარიმები. იხ. http://cjgg.ca.gov/res/docs/Censures/Danser_06-02-05.pdf

საქმეში Wassilenko, 2005, მოსამართლე თავის თავზე იწერდა თავისი მეგობრის საგზაო დარღვევებს და იხილავდა მათ დაჩქარებული და ზოგ შემთხვევაში შეღავათიანი პროცედურებით. სამოსამართლო ქცევის კომიტიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ შექმნა მართლმსაჯულების ორკვალიანი სისტემა, ერთი თავისი ახლობლებისთვის და მეორე სხვებისთვის http://cjgg.ca.gov/res/docs/s_c_cites/Wasilenko_49_Cal.4th_CJP_Supgg_26.pdf

მაგალითი, კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის პრაქტიკიდან, კომისიამ მოსამართლე სალვადორ სარმიენტოს საქმეში მიუთითა, რომ “მეუღლის სასარგებლოდ სხვა მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მოსამართლე სარმიენტო ჩაერთო სერიოზულ არამართლზომიერ ქმედებაში, რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა სასამართლოს რეპუტაციას”, ასევე, “მოსამართლე სარმიენტოს არამართლზომიერი ქცევა დამძიმებულია

იმ ფაქტით, რომ მან მოითხოვა განსაკუთრებული დამოკიდებულება მისი ქვეშევრდომისაგან, კომისიონერისგან, რომელიც სასამართლოში მუშაობს. ამან კომისიონერი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, როდესაც მას მოუწია იმაზე ფიქრი, თუ როგორ უნდა ეთქვა უარი მოსამართლის თხოვნაზე, რომელიც მასზე უფრო მაღალი იყო თანამდებობრივად (სარმიენტო სხვა მოსამართლეს სთხოვდა გადაეხედა მისი მეუღლის ავტოსაგზაო დაჯარიმების საქმე). როგორც ვხედავთ, აქ ადგილი აქვს მოსამართლის მხრიდან როგორც უკანონო კომუნიკაციის სხვა მოსამართლესთან, ისე თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებას უსამართლო უპირატესობის მისაღებად საკუთარი ოჯახის წევრისთვის; <http://cjp.ca.gov/>

მაგალითი: გავრთიანებული სამეფოს პრაქტიკიდან იხ. JCIO24/15 სადაც მოსამართლემ გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და აღსრულების ბიუროს მიწერა წერილი იმ ინდივიდის სასარგებლოდ, რომელსაც არ ჰქონდა ჯარიმა გადახდილი;

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

ესპანეთი მუხ. 417.ა.13 მოსამართლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ხელისუფლების ორგანოების, მოხელეთა ან სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენელთა მხრიდან შეღავათიანი მოპყრობის მოსაპოვებლად;

იტალია, მუხ. 3. მაგისტრატის მიერ თანამდებობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად;

ბოსნია, მუხ. 66. ვ. მოსამართლის თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება მისთვის ან სხვებისთვის დაუსაბუთებელი სარგებელის მოსაპოვებლად;

რუმინეთი, მუხ. 99.ო თანამდებობის გამოყენება ორგანოების მხრიდან შეღავათიანი მოპყრობის მისაღებად, საკუთარი ან ოჯახის წევრის, ან სხვა პირების პერსონალური მოთხოვნის მიღება ან დაყენება სამართლებრივად დადგენილი პროცედურების გარეშე;

მოლდოვეთი: “უკანონო ჩარევა ან მოსამართლის თანამდებობის გამოყენება სხვა ორგანოებთან, დაწესებულებებთან, თანამდებობის პირებთან ურთიერთობაში, უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად პირადი ან სხვათა ინტერესების სასარგებლოდ”;

⁹⁰ ალფინი, გვ. 10-5;

⁹¹ ალფინი, გვ.

⁹² იხ. ალფინი, გვ. 2-50;

⁹³ აშშ დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Coates, http://cjjg.ca.gov/res/docs/Public_Admon/Coates_RC_12-02-09.pdf, სადაც მოსამართლემ ფულის გადარიცხვის დაყოვნების გამო საბანკო დაწესებულებას მიმართა საჩივრის წერილით, რომელიც დაბეჭდილი იყო სასამართლოს ბლანკზე;

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან საქმე 111-2000, სადაც მოსამართლემ სამსახურებრივი ბლანკი და საკუთარი თანამდებობა გამოიყენა ამ პიროვნების სასარგებლოდ მესამე პირის მიერ ვალის დასაბრუნებლად;

რუსეთის ფედერაციის დისციპლინური პრაქტიკიდან: მოსამართლემ გამოიყენა რა თავისი სტატუსი, საგადასახადო ორგანოებიდან პირადი ინტერესებისათვის გამოითხოვა ინფორმაცია იმ პირის დავალიანების შესახებ, რომელიც არ მონაწილეობდა მის წარმოებაში არსებულ საქმეში; სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/RussianDecisions.pdf> ;

⁹⁴ რუსეთის ფედერაციის დისციპლინური პრაქტიკიდან: მოსამართლე, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ა/მანქანას, პოლიციელებთან გამოიყენა თავისი სტატუსი, რითაც თავი დააღწია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

⁹⁵ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე In Re Alvord, ალფინი, გვ. 2-48;

იხ. აგრეთვე მოსამართლე სტენფორდის საქმე, რომელიც სასამართლო მოხელეს თხოვდა მისი სიძისთვის ჯარიმის მოხსნას; (მოკვლევა სტენფორდის შესახებ (2012) 53 Cal. 4th CCJP Supp. 1.25); კალიფორნიის შტატის სამოსამართლო ქსევის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი: http://cjp.ca.gov/complaint_process.htm

⁹⁶ საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან საქმე 111-2000, სადაც მოსამართლემ გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა მეგობრის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მონაცემების მოსაპოვებლად;

⁹⁷ იტალია: მუხლი 2(1) (8)(არაჯეროვანი ან უხეშად არაჯეროვანი მოპყრობა მხარეების, მათი დამცველების, მონმეების და ასევე სხვა პირების მიმართ, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს მაგისტრატს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას);

ესპანეთი, მუხ. 418.4 მოქალაქეთა, ინსტიტუტების, მდივნების, ექსპერტების ან მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მონაწილე პერსონალის, პროკურატურის, ადვოკატების ან პროკურორების, სოციალური მუშაკებისა და სასამართლო პოლიციის მოხელეთა უპატივცემულობა;

სერბეთი, მუხ. 90.1. საქმის წარმოებაში მონაწილე პირების და სასამართლო აპარატის აშკარად არასათანადო მოპყრობა;

რუმინეთი, მუხ. 99.დ. უღირსი დამოკიდებულება კოლეგებთან, სასამართლოს სხვა პერსონალთან, სასამართლო ინსპექტორებთან, ადვოკატებთან, მონმეებთან, ექსპერტებთან ან მხარეებთან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს;

ალბანეთი, მუხ. 32.2.ვ. ვ. ეთიკის ნორმების დარღვევა პროცესის მონაწილეებთან, კოლეგებთან, სასამართლოს თავმჯდომარესთან, სასამართლოს ადმინისტრაციულ პერსონალთან, ექსპერტებთან, პროკურორებთან და ადვოკატებთან მიმართებაში;

ბოსნია, მუხ. 66.გ. საქმის წარმოების დროს მხარეთა, მონმეთა და სხვა პირთა ჯეროვანი მოპყრობის აშკარა დარღვევა;

მოლდოვის რესპუბლიკის კანონი "მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ", მე-4 მუხლის "1" ქვეპუნქტი: "სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კოლეგების, იურისტების, ექსპერტების, მონმეების ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ უღირსი საქციელის ჩადენა";

საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე 073-1993, სადაც საქმისწარმოების ოქმში გააკეთა ჩანაწერი, სადაც უპატივცემულოდ მოიხსენია ადვოკატი და მას უწოდა საერთაშორისო თაღლითის თანამონაწილე;

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკიდან:

საქმე 083-1995, სადაც მოსამართლემ გაავრცელა წერილი, რომელშიც აკრიტიკებდა საკუთარ კოლეგებს მათი პატივმოყვარეობის უგუნურების, სისულელის და სილაჩრის გამო;

იხილეთ რუსეთის ფედერაციის დისციპლინური პრაქტიკა, მოსამართლემ უხეშად დაარღვია ეთიკის ნორმები, რაც გამოიხატა მასში, რომ მოსამართლემ საჯარო რეესტრის თანამშრომელს (წარმოშობით ირანელს), რომელიც ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი ტონით მიუთითა მას ეროვნულ წარმომავლობაზე, უყვიროდა ხმამაღლა, უწოდა მექრთამე, დაემუქრა პრეზიდენტთან და პროკურატურაში ჩივილით, რა დროსაც დემონსტრირებას უკეთებდა თავის თანამდებობრივ სტატუსს;

⁹⁸ აშშ პრაქტიკიდან იხ. საქმე In Re Flournoy, ალფინი, გვ. 3-3;

⁹⁹ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. საქმე Spruance, ალფინი, გვ. 3-6, სადაც მოსამართლემ პროცესზე დაგვიანებულ მხარეს შუა თითი უჩვენა;

¹⁰⁰ ერთ საქმეში მოსამართლემ მონმეზე თქვა, რომ ის იყო „ხისთავიანი იტალიელი“ (იხ. In Re Trost, 1979, ალფინი, 3-28) საქმეში, Salsido მოსამართლე დარბაზის გასაგონად სასამართლო პერსონალს მოიხსენიებდა კიტრებად, ხოლო თანაშემწეებზე ამბობდა, რომ „მათ უმრავლესობას ორ ბატს ვერ მიაბარებ“ იხ.

http://cjjg.ca.gov/res/docs/Censures/Salcido_DandO_11-10-10.pdf საქმეზე Harris, 2005, მას შემდეგ რაც ბრალდებული გავიდა დარბაზიდან, მოსამართლემ დარბაზის გასაგონად განაცხადა „კარგი იქნებოდა კბილები რომ გაესწორებინა“;

¹⁰¹ იხ. ალფინი, გვ. 3-41 იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (2001). მოსამართლე პიტკევიჩი პროცესის მონაწილეებს სასამართლო სხდომების მსვლელობისას მოურიდებლად პირდებოდა მათ საქმეებზე სასურველი შედეგის დაყენებას თუ ისინი განეწინააღმდეგებოდნენ ”ორმოცდაათიანელთა” სექტაში. მოსამართლე საკვალიფიკაციო კომისიამ პიტკევიჩი გაანთავისუფლა მოსამართლის თანამდებობიდან ხოლო პიტკევიჩის საჩივარი ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოში არ იქნა დაშვებული, ვინაიდან არ დადასტურდა მოსამართლის რელიგიურ საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი; იხილეთ დაწერილებით: <http://www.oplykina.ru/nekotorye-resheniya-espch/pitkevich-protiv-rossii.html>

¹⁰² მაგალითად ადვოკატისადმი მიმართვა „გოგონი“, (ალფინი, გვ. 3-32); ერთმა მოსამართლემ ქალ ადვოკატს უთხრა, რომ „ქალი სახლში უნდა იყოს და ბავშვებს უნდა ზრდიდეს“ (In Re Cieslik, 1987, ალფინი, გვ. 3-33);

¹⁰³ იხ. მაგ. საქმე In Re Eiler (2005, ალფინი, გვ.3-13), სადაც მოსამართლემ მხარეს უთხრა, „თავს თუ მომაბეზრებს ეს ძალიან ცუდი იქნება“; იხ. აგრეთვე საქმე 14 Cal 3d 688, სადაც მოსამართლემ ადვოკატს უთხრა: „თუ პირს კიდევ გააღებ, შენ კლიენტს გვერდით მოუჭლები“; საქმეში Velazquez, მის მიერ გამოტანილი სასჯელის ირგვლივ დასმული შეკითხვების გამო მოსამართლე ბრალდებულებს დაემუქრა სასჯელის გაზრდით იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/s_c_cites/Velasquez_49_Cal.4th_CJP_Suppg.175.pdf

¹⁰⁴ აშშ პრაქტიკიდან, იხ. საქმე 14 Cal 3d, 678, at 688, სადაც მოსამართლემ მხარეს უთხრა „გთხოვ ნუ აყენებ ამ უაზრო შუამდგომლობებს და ნუ იტყუები სასამართლოში“;

¹⁰⁵ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. საქმე Pau, 1991 („მე არ მეგონა თუ მომიწევდა თქვენთვის სამართლის ლექციის ჩატარება“). საქმეზე McDonough, მოსამართლემ ადვოკატს უთხრა, რომ მისი შუამდგომლობა იყო „ბავშვური და სასაცილო“, (იხ. Minn. 1979, ალფინი, გვ. 3-12); საქმეზე In re Masner, სადაც ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ, მოსამართლემ ადვოკატს უთხრა: „რატომ გინდა კიდევ მეტი ფული მიიღო შენი კლიენტისგან“ (N.Y. 1989, ალფინი, გვ. 3-12); საქმეზე Van Voorhis, მოსამართლემ ნეგატიურად შეაფასა დამცველის საუნივერსიტეტო განათლება ნაფიცის მსაჯულების თვალწინ (იხ. http://cjjg.ca.gov/res/docs/Public_Reprovals/Van_Voorhis%209-8-92.pdf)

¹⁰⁶ ალფინი, გვ. 3-9;

¹⁰⁷ ალფინი, გვ. 3-7;

¹⁰⁸ ესპანეთი, 418.11 ორგანოთა ინსპექციის საქმიანობის ხელის შეშლა;

რუმინეთი, მუხ. 99.უ.უ. სასამართლო ინსპექტორების საქმიანობის ხელის შეშლა ნებისმიერი საშუალებით;

ალბანეთი, მუხ. 32.1.თ დისციპლინური ღონისძიების აღსრულებაზე უარი;

ალბანეთი, მუხ. 32.2.ე. სასამართლო ინსპექტორების ხელის შეშლა კანონიერი უფლებამოსილების განხორციელებისას;

ბოსნია, მუხ. 66 „რ“ (დისციპლინური საქმის გამოკვლევასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე თავის არიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება ლეგიტიმური საფუძველებით);

მოლდოვ ას რესპუბლიკის კანონი ”მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ”, მე-4 მუხლის ”ო” ქ/პუნქტი, ”ინსპექტორ-მოსამართლეების საქმიანობის ხელის შეშლა ნებისმიერი საშუალებით“;

¹⁰⁹ აშშ სასამართლო პრაქტიკიდან იხ. საქმე In re Milhouse, ალფინი, გვ. 6-35;

¹¹⁰ ალფინი, გვ. 6-36 საფრანგეთის დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. საქმე 200 – 2012 მოსამართლემ თავის კაბინეტში დაიბარა თავისი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი (ასევე ადვოკატი) და უსაყვედურა დისციპლინურ საქმეზე მის წინააღმდეგ არაპირდაპირი ჩვენების მიცემა;

¹¹¹ ალფინი, გვ. 6-35 იხ. აგრეთვე ბოსნიის კანონმდებლობა, მუხ. 66 „რ“ (დისციპლინური საქმის გამოკვლევასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე თავის არიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება ლეგიტიმური საფუძვლებით);

¹¹² საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

იტალია 2 (1) (მ) (მ. სამოსამართლო ფუნქციისთვის და მოვალეობისთვის შეუთავსებელი მიზნების განხორციელება. სამოსამართლო უფლებამოსილებასთან შეუთავსებელი ფუნქციების განხორციელება) მუხ. 3.1.დ. დ) სამოსამართლო ფუნქციებთან შეუთავსებელი საქმიანობა;

ესპანეთი, მუხ. 417.ა.6.მოსამართლის ან მაგისტრატის თანამდებობასთან შეესაბამო, ამ კანონის 389-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა გარდა იმ ქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენენ 418-14 -ე მუხლით გათვალისწინებულ მძიმე გადაცდომას;

რუმინეთი, მუხ. 99.ბ. ბ. მოსამართლეებისა და პროკურორების შეუთავსებლობისა და აკრძალვების მარეგულირებელი ნორმების დარღვევა;

სერბეთი, მუხ. 90.1. კანონის თანახმად მოსამართლის თანამდებობისთვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

ხორვატია, მუხ. 63.2 ნებისმიერი სამუშაოს, ამოცანის ან ქმედების განხორციელება, რომელიც წინააღმდეგობაშია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან;

მოლდოვა: იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც შეეხება მოსამართლისთვის დადგენილ შეუთავსებლობებს და აკრძალვებს;

ყირგიზეთი: მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებელი საქმიანობა;

ყირგიზეთი: მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებელი საქმიანობა;

აზერბაიჯანი: „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას;

¹¹³ იხ. მაგ. ლატვია: ”საჯარო მოხელეთა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის შემზღვევისა და აკრძალვების დაუცველობა”;

¹¹⁴ კალიფორნიის შტატის სამოსამართლო ქცევის კოდექსის წესი 3 ე(5) (დ) პუნქტი მსგავს დარღვევას მოსამართლის თვითაქილების ერთ-ერთ საფუძვლად განიხილავს და განმარტავს შემდეგს: ” თუ სააპელაციო მოსამართლეს, ან მის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს, ან არასრულწლოვანი შვილს, რომელიც მის შინამეურნეობაში ცხოვრობს, აქვს ფინანსური ინტერესი ან წარმოადგენს ნდობით აღჭურვილ პირს, რომელსაც აქვს ფინანსური ინტერესი სამართალწარმოებაში, ან არის დირექტორი, მრჩეველი, ან სხვა აქტიური მონაწილე მხარის საქმეებში. ფინანსური ინტერესი განისაზღვრება როგორც მხარის სამართლებრივი ან ქონებრივ-სამართლებრივი ინტერესის 1%-ზე მეტის ფლობა, ან მხარის სამართლებრივი ან ქონებრივ-სამართლებრივი ინტერესი, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 1500 აშშ დოლარს”;

აღნიშნული ასევე გადაცდომად ითვლება ტეხასის შტატში - იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიში, გვ. 70;

ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების კომენტარით, (პარ. 58) ფინანსურ ინტერესად ასევე მოიაზრება მოსამართლის მიერ წილის ფლობა იმ კორპორაციაში, რომელიც დავის მონაწილე მხარეა;

¹¹⁵ რუსეთის ფედერაციის პრაქტიკიდან: ”მოსამართლე, მისი მეუღლე, ასევე, მოსამართლის მამა იყვნენ ერთ-ერთი კომპანიის დამფუძნებლები; მოსამართლე ამ კომპანიიდან იღებდა გარკვეულ შემოსავალს”; სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალური ვებგვერდი: <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/RussianDecisions.pdf> ;

¹¹⁶ იხ. მაგ. იტალია მუხ. 2 „ბ“:ბ. (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოსთვის სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონით (. . .) დადგენილი შეუთავსებლობის შესახებ შეუტყობინებლობა);

¹¹⁷ ესპანეთი, მუხ. 418.6 სასამართლო კლერკების ან დამხმარე პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის არ დაყენება, როდესაც მოსამართლისთვის ცნობილია, ან ცნობილი უნდა იყოს ამ პერსონალის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა;

აშშ დისციპლინური პრაქტიკიდან იხ. გადაწყვეტილება საქმეზე In Re Gumaer, სადაც მოსამართლემ ნება დართო აპარატს მიეღო აკრძალული საჩუქრები. იხ. ალფინი, გვ. 6-26;

¹¹⁸ სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს (მოსამართლის), პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას. სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელსაც აქვს უფლება გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30-60 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212 მუხლის მე-7 ნაწილი).

¹¹⁹ მოსამართლეს ასევე გააჩნია წესრიგის დაცვის მიზნით სხდომის დახურვის უფლებამოსილება იხ. მაგ. სსსკ. 182-ე მუხლი. მასვე აქვს უფლება შეუფერებელ ფორმაში გამოცხადებული პირი არ დაუშვას სხდომის დარბაზში (იხ. სსსკ. 188-ე მუხლი)

¹²⁰ გადაცდომის ეს სახე არის გათვალისწინებული ალბანეთის კანონმდებლობით, რომლის 23-ე მუხლი მოსამართლეს უკრძალავს გათყვას, ხოლო 32-ე მუხლი კი დასჯადად აცხადებს კანონის 23-ე მუხლის დარღვევას.